საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 21 ივლისი. 2020 წ. №90 (9016) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როცა მეზობლები ჩხუბობენ...

იხ. 4 გვ.

ხომ არ მოგვწვდება სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ცეცხლი?

ჰუბერტ ქნირში: საქართველოში გერმანელი ვიზიტორების დაბრუნებას ველი

გერმანულ-ქართული ურთიერთობები ურთიერთპატივისცემით ხასიათდება და ის კიდევ უფრო გაძლიერდა. ამის შესახებ გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა ჟურნალ „დიპლომატთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„ქართველები კრიზისს განსაკუთრებულად გაუმკლავდნენ. ახლა ველი პირველი გერმანელი ვიზიტორების დაბრუნებას საქართველოში, თუნდაც ეს რიცხვი თავიდან მცირე იყოს.

ძალიან მარტივი იყო ჩემი და ჩემი ოჯახის დარწმუნება იმაში, რომ მხოლოდ ერთი შვებულება არ გაგვეტარებინა საქართველოში. შაბათის მოგზაურობისთვის გვიყვარს გომბორის უღელტეხილი კახეთში, ან ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ახლა ვგეგმავთ რამდენიმე სერიოზულ ლაშქრობას ხევსურეთში. შემდეგი იქნება დასავლეთ საქართველო შავი ზღვის ლამაზი სასტუმროებითა და გურია-აჭარის გასაოცარი მთიანი რეგიონებით. ჩემს აღფრთოვანებას ისევ იწვევს ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრები“, — აღნიშნა გერმანელმა დიპლომატმა.

ბიძინა ივანიშვილი: კარგად გვახსოვს, როგორ გარბოდნენ ზოგიერთები ბრძოლის ველიდან, ქვეყნიდანაც კი, ეს ის ტრავმაა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია ჩვენს ხალხს



იხ. 3 გვ.

ჩვენ ისეთი ხელისუფლებაც გვყოლია, რომელმაც თავისი უგუნურებით ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ქვეყნისთვის უმძიმესი კრიზისი აეცილებინა, რაც სავსებით შესაძლებელი იყო და არათუ დაიცვა მოსახლეობა განსაცდელისგან, არამედ ბედის ანაბარა მიატოვა ხალხი, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისის ღონისძიებაზე განაცხადა.

„გვახსოვს, როგორ გარბოდნენ ზოგიერთები ბრძოლის ველიდან და ქვეყნიდანაც კი. ეს ის ტრავმაა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია ჩვენს ხალხს. სულ ახალახან, როდესაც კენჭი ეყრებოდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, მათ უარი თქვეს ამ პროცესში მონაწილეობაზე და ამით საკუთარ თავსაც კი აჯობეს, ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ეს ხალხი უბრალოდ ხავსს ეჭიდება. მათთვის მთავარია ძალაუფლების ხელში ჩაგდება და რევანში იმ რვაწლიანი თავისუფლებისთვის, რომელიც ჩვენ, ყველამ ერთად მოვიპოვეთ და ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზაზე დავაყენეთ. მჯერა, ჩვენს ხალხს აქვს სიბრძნე, რომ სწორი დასკვნები გამოიტანოს და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას“, — დასძინა ივანიშვილმა.

ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბარმა მიკროავტობუსებში გადაინაცვლა

5

ჟურნალისტური გამოძიება

გოქსელ გენჩი თურქი ოსტაპ ბენდერი? (5)

7

დაუვიწყარი ამბები საქართველოს ციხე-სიმაგრეების ალყებიდან

9



რამდენიმე ფეისბუქ-პოსტი რჩეული კომენტარებით სმაილიკების გარეშე

პაატა ნაცვლიშვილი

დარჩისახლშისა

6

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 23 ივლისს

ბიძინა ივანიშვილი: კარგად გვახსოვს, როგორ გარბოდნენ ზოგიერთები ბრძოლის ველიდან, ქვეყნიდანაც კი, ეს ის ტრავმაა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია ჩვენს ხალხს

კრიზისმა ყველას დაანახა, რომ ქვეყნის მართვის სადავეები სანდო ხელშია, მიხარია, რომ ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს ასე მალე დავუბრუნდით. მინდა, დავიწყო მადლობით. მადლობა ეპიდემიოლოგებსა და ექიმებს.

მადლობა „ქართული ოცნების“ გუნდს, რომელმაც თავდაუზოგავად იმუშავა და ქვეყანა დიდ განსაცდელს აარიდა. განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხალხს, რომელმაც მაღალი საზოგადოებრივი კულტურა აჩვენა, ენდო ხელისუფლებას და მის გარშემო გაერთიანდა. წვლილი შევიტანეთ იმაში, რომ საქართველო ვირუსისგან თავისუფალ, მწვანე ზონად მოიხსენიება. კრიზისმა დაანახა ყველას, რომ ქვეყნის მართვის სადავეები სანდო ხელშია და რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის ქვეყანაში სიმშვიდის და სტაბილურობის გარანტი, რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკის გამტარებელი“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

მინდა, დარწმუნებით ვთქვა, გუნდს, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, კვლავაც შეუძლია იტვირთოს და ასწიოს ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა.

„ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა ქვეყანა ბევრი მიმართულებით წინ წაიყვანა. პროგრესია პრაქტიკულად, ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, არავინაა იმ ილუზიის ტყვეობაში, რომ ყველაფერი დალაგდა და პრობლემები არ არსებობს. ბევრია იმისთვის გასაკეთებელი, რომ ქვეყანამ შეუქცევადად გააგრძელოს განვითარება. რყევებით სავსე ეპოქაში საქართველომ ბოლო 8 წლის განმავლობაში შეუქცევადად შეინარჩუნა მშვიდობა, სტაბილურობა და დამსახურებულად ჩაეწერა უსაფრთხო ქვეყნების მოწინავე რიგებში. დღევანდელ ცვალებად მსოფლიოში, რა თქმა უნდა, საქართველოც დგება ახალი გამოწვევებისა და საკითხის ახლებურად გააზრების საჭიროების წინაშე, დღევანდელი რეალობა სულ სხვა დღის წესრიგს გვიყენებს. გამოწვევები ბევრია, საშინაო თუ საგარეო, რომელსაც ქვეყანა მზად უნდა დახვდეს“...

გიორგი გახარია: „ქართული ოცნება“ სამართლიან ბრძოლაში ღირსეულად გაიმარჯვებს

არჩევნებს ჩავატარებთ უმაღლესი დემოკრატიულობის ხარისხით და „ქართული ოცნება“ ღირსეულად გაიმარჯვებს სამართლიან ბრძოლაში. ეს წარმატება ამ ქვეყანას სჭირდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კოჯორში, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში დარწმუნებულია. „ჩვენ ამ კამპანიაში გავიმარჯვებთ, ეს გამარჯვება იქნება ქვეყნის წარმატება, რადგან ზუსტად ვიცით, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს საქართველო, ზუსტად ვიცით, რა გამოწვევებს უნდა ვუპასუხოთ სწრაფად, ეფექტურად და გვაქვს კონკრეტული გეგმა. ჩვენ 2020 წლის არჩევნებზე მივდივართ ახალი, უფრო პროგრესიული საარჩევნო სისტემით. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა იქნებოდა შეუძლებელი, რომ არა 2012 წლის მიღწევა და ამის შემდგომ შენება ყოველდღიურად დემოკრატიული, ევროპული და სამართლიანობის ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყნისა, ეს გახდა შესაძლებელი მხოლოდ ამიტომ. პროპორციული არჩევნები არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დემოკრატიის მიღწევასთან ერთად, არის ქვეყნის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა. ეს არის პასუხისმგებლობა პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების და მოქალაქეები, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ არჩევნებს ჩავატარებთ უმაღლესი დემოკრატიულობის ხარისხით და რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ ღირსეულად გაიმარჯვებს სამართლიან ბრძოლაში. ეს წარმატება ამ ქვეყანას სჭირდება“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

კახა კალაძე: ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა!

მივესალმები პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დამსწრე საზოგადოებას, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზეზი და მიზანი, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ ერთიანი გუნდის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენაა, — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კოჯორში, მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

„ჩვენ გვაქვს მომავლის ხედვა და იმედი. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის განვითარებული, წარმატებული, თავისუფალი და ერთიანი საქართველო. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ ამ მიზნის მისაღწევად“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დავით სერგეენკო: ბოლო პერიოდის ისტორიაში არ მინახავს პოლიტიკური პარტია, რომელსაც ჯანდაცვის პრიორიტეტი ასეთ სიმაღლეზე აეწიოს

ეძიმის ლოგიკაა, რომ მე არასდროს საქართველოს ბოლო პერიოდის ისტორიაში არ მინახავს პოლიტიკური პარტია, რომელმაც ჯანდაცვის პრიორიტეტი ასეთ სიმაღლეზე ასწია, — ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატმა, ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით სერგეენკომ განუცხადა. მას ჰკითხეს, რომ იგი იყო წარმატებული მინისტრი, მაგრამ შემდეგ თანამდებობა დატოვა და რატომ სურს ახლა პარლამენტში დაბრუნება?!

სერგეენკოს განცხადებით, საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად წარმატებული მინისტრი იყო იგი. **„მაშინ ძალიან სერიოზულად დავინტერესდი და საერთაშორისო ჯანდაცვის მინისტრების პროფესიული სიცოცხლის ხანგრძივობა 3-4 წელიწადია. სულ ორი გამონაკლისი იყო. მე კი 7 წელი გამომივიდა, რაც საკმარისზე მეტია. ახალი ენერგია იყო საჭირო მინისტრის პოზიციაზე. პარლამენტარის პოზიცია, რა თქმა უნდა, საპასუხისმგებლოა, თუმცა აქ სპეციფიკაა სხვაგვარი“,** — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

კითხვაზე, რატომ პარლამენტი, სერგეენკომ განმარტა: **„მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში პოლიტიკური პარტიები გუნდურობის პრინციპითაა წარმოდგენილი, მე ჩემი კონკრეტული ამოცანა მაქვს. აქ ექიმის ლოგიკაა, რომ მე არასდროს საქართველოს ბოლო პერიოდის ისტორიაში, არ მინახავს პოლიტიკური პარტია, რომელმაც ჯანდაცვის პრიორიტეტი ასეთ სიმაღლეზე ასწია და ამდენი რამის გაკეთება შეძლო. ამიტომ, მე თავს ვალდებულად ვთვლი, ასეთ გუნდს ისევ მხარში ამოვუდგე და ფოკუსირება გავაკეთო სწორედ ამ მიმართულებებზე“.**

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია გახსნა და საქართველოს მასშტაბით, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ოფიციალურად დაასახელა.

თბილისის მასშტაბით მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები იძნებიან:

დავით სერგეენკო — საბურთალოს საარჩევნო ოლქი;
ნოდარ ტურძელაძე — ვაკის საარჩევნო ოლქი;
ლევან კობიაშვილი — გლდანის საარჩევნო ოლქი;
სოზარ სუბარი — სამგორის საარჩევნო ოლქი;
კახი კახიშვილი — ისნის საარჩევნო ოლქი;
ბექა ოდიშარია — მთაწმინდა-კრწანისის საარჩევნო ოლქი;
მიხეილ ყაველაშვილი — ნაძალადევის საარჩევნო ოლქი;
გია ვოლსკი — დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქი.

რეგიონებში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები იძნებიან:

შალვა კერესელიძე — მცხეთა-დუშეთი-თიანეთი-ყაზბეგის საარჩევნო ოლქი;
ირაკლი ქადაგიშვილი — თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხის საარჩევნო ოლქი;
დავით სონღულაშვილი — გურჯაანი-საგარეჯო-სიღნაღი-დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი;
ნინო ლაცაბიძე — რუსთავის საარჩევნო ოლქი;
ზაურ დარგალი — მარნეული-გარდაბნის საარჩევნო ოლქი;
გოგი მეშველიანი —ბოლნისი-დმანისი-თეთრიწყარო-წალკის საარჩევნო ოლქი;
გიორგი ხოჯევანიშვილი — გორი-კასპის საარჩევნო ოლქი;
ზაზა დუგლაძე — ხაშური-ქარელის საარჩევნო ოლქი;
ანტონ ობოლაშვილი — ახალციხე-ადიგენი-ბორჯომი-ასპინძის საარჩევნო ოლქი;
სამველ მანუკიანი — ახალქალაქი-ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი;
ზაზა ლომინაძე — ქუთაისის საარჩევნო ოლქი;
პაატა კვიჟინაძე — საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის საარჩევნო ოლქი;
ბეჟან წაქაძე — ზესტაფონი-ბაღდათი-თერჯოლა-ტყიბულის საარჩევნო ოლქი;
გივი ჭიჭინაძე — სამტრედია-წყალტუბო-ვანი-ხონის საარჩევნო ოლქი;
გოჩა ენუქიძე — ამბროლაური-ონი-ცაგერი-მესტია-ლენტეხის საარჩევნო ოლქი;
ირაკლი ჩიქოვანი — ზუგდიდის საარჩევნო ოლქი;
ირაკლი ხახუბია — ფოთი-ხობი-სენაკის საარჩევნო ოლქი;
ალექსანდრე მოწერელია — აბაშა-მარტვილი-წალენჯიხა-ჩხოროწყუს საარჩევნო ოლქი;
ვასილ ჩიგოგიძე — ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი;
რესან კონცელიძე — ბათუმის საარჩევნო ოლქი;
ზაალ მიქელაძე — ქობულეთის საარჩევნო ოლქი;
ანზორ ბოლქვაძე — ხულო-შუახევი-ქედისა და ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი.

კანდიდატების წარდგენას წინ უძღოდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი. „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ სია 19 ივლისს დაამტკიცა. საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს გაიმართება.

პროკურატურა საქმის გამოსაძიებლად დამატებით ვადას ითხოვს

„კურიერმა“ ექსკლუზიურად გაარკვია, რომ ცენტრალური კრიმინალური დეპარტამენტი 31 დღის გადასავადებლად მცხეთის რაიონულ სასამართლოს მიმართავს.

მოსამართლემ შუამდგომლობა სამი დღის განმავლობაში უნდა განიხილოს და დაცვის მხარის პოზიციები მოისმინოს. ამის შემდეგ გახდება ცნობილი, როდის შედგება შაქარაშვილის საქმის წინა სასამართლო სხდომა – 31 ივლისს, თუ ერთი თვის შემდეგ – 31 აგვისტოს.

პარალელურად, საქმეზე გამოკითხვები შინაგან საქმეთა სამინისტროში განახლდა. გუშინ უწყებაში მოწმის სტატუსით ერთ-ერთი არასრულწლოვანი მივიდა.

შესვლამდე არც მას და არც ადვოკატს კომენტარი არ გაუკეთებიათ. თუ მოწმეები უწყებაში გამოკითხვაზე არ მივლენ, ბრალდებულთა ადვოკატები მათ გამოკითხვას უკვე სასამართლოში, მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მოითხოვენ.

იგეგმება სხვადასხვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაც. ამ საკითხზე ერთ-ერთი ბრალდებულის არჩილ გაგნიძის უფლებადამცველი პენიტენციური დაწესებულებისთვის ოფიციალურად მიმართვასაც გეგმავს.

არჩილ გაგნიძის და ვასილ მახარაძის ადვოკატის ვასილ მამულაშვილის განცხადებით, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება მის ინტერესებში არ შედის.

„მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სრულყოფილი გამოძიებისთვის სჭირდებათ დამატებითი დრო. ამას სჭირდება დასაბუთება. როდესაც გავეცნობით შესაბამის არგუმენტს, გვაქვს კანონით მონიჭებული ვადა პოზიციის დასადასტურებლად. შესაბამისად თუ მტკიცებულებებია, არ არსებობს ინტერესი, რომ წინასასამართლო სხდომის ვადა გაგრძელდეს,“ – განაცხადა ვასილ მამულაშვილმა.

სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, ქვემო ქართლის პროკურატურასთან ერთად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით ალგეთის პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი და ამავე განყოფილების დეტექტივის თანაშემწე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს.

გიორგი შაქარაშვილის ტრაგედია და... თაღლითები

საწყალი, საწყალი, საწყალი ბიჭი. რამდენი ნაძირალა ცდილობს ახლა მისი დაღუპვით საკუთარი პოლიტიკური, პროფესიული და სხვა კაპიტალის შექმნას. რა ხრიკებს არ მიმართავენ.

ყოველ დღე ობივატელს თავს ატყდება ახალ-ახალი წვრილმანები 19 ივლისის ტრაგიკული ღამისა, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითიდან გამოწოვილი ფაქტების, ხმების ეს ჩანჩქერი იღვრება არა ჭეშმარიტების დასადგენად, არამედ პირიქით – გამოძიების ასარევ-დასარევად, მის ჩიხში შესაყვანად. იმ ადამიანების, ვინც გამოძიებას წარმართავენ, ბრიყვებად წარმოსაჩენად (აი, ჩვენ ამ ფაქტებს მივაკვლიეთ, მათ კი ვერა!), ან უარესი – დაადანაშაულონ ისინი იმაში, რომ ვიღაცის დაკვეთით სპეციალურად რევენ კვალს და ხელს აფარებენ ნამდვილ დამნაშავეებს, რათა ისინი სასჯელისგან დააძვრინონ.

გიორგი შაქარაშვილის მკვლელობა იქცა წინასაარჩევნო ბრძოლის საშუალებად, თანაც, რაც ძალიან საკვირველია, ლამის ყველაზე არსებით საშუალებად. მწვავედ უტევენ ბიძინა ივანიშვილსა და მის ოჯახს. რადიკალური ოპოზიციური ძალები, რომელთა რუპორადაც იქცა ტელეარხი „მთავარი“ და მისი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, ყოველმხრივ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ივანიშვილის გარემოცვამ თავიდანვე გააყალბა და დღემდე აყალბებს უბედური ჭაბუკის სიკვდილის გარემოებებს, თანაც, ამ საშინელი ჩანაფიქრის რეალიზაციაში ჩართული არიან დღევანდელი საქართველოს ადმინისტრაციის სხვადასხვა რანგის მოხელეები.

ალბათ ძნელია გაიხსენო ვითარება, როცა თაღლითობა უფრო ღია იყო თავის განზრახვებში. „მთავარი არხის“ გენდირექტორი პირდაპირ აცხადებს, რომ მას ნაკლებად აინტერესებს ვინ მოკლა გიორგი შაქარაშვილი, მთავარია – ვინ და რატომ „იფარავს“ მკვლელებს? შაქარაშვილის ოჯახის ტრაგედიისადმი მიძღვნილი „მთავარის“ ყოველი გადაცემა იწყება და მთავრდება იმაზე მსჯელობით, რომ გამოძიება, რა თქმა უნდა, ივანიშვილის გარემოცვის ხუშტურის შესაბამისად, ცდილობს დარტყმა ააცილოს ჭეშმარიტ დამნაშავეებს. გვაცნობებენ რაღაც წყაროებიდან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციებს, რომლებიც კვალის დასაფარავად არის მოფიქრებული. ვინ არიან ეს სიმართლისთვის საიდუმლო მებრძოლნი, ბუნებრივია არავინ იცის – ადგილობრივი კანონმდებლობა გაქნილ ჟურნალისტებს შესაძლებლობას აძლევს არ გაამხილონ ინფორმაციის წყარო, რაც ისეთ სუბიექტებს, როგორიც ბატონი გვარამიაა, შესაძლებლობას აძლევს ეს კანონი დაუსჯელად გამოიყენოს.

გიორგი შაქარაშვილის საქმის ფიგურანტთა დამცველები ერთხმად აცხადებენ, რომ საქმე სასამართლოზე აუცილებლად ჩავარდება, გიორგის დაღუპვის მიზეზი არამც და არამც არ დადგინდებაო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომავალი სასამართლო პროცესის ამგვარი შედეგი არავისთვის არ არის მიუღებელი. ავიღოთ ერთ-ერთი ადვოკატი – ალექსანდრე კობაიძე, რომლის დაცვის ქვეშ მყოფი ორი კაცი უკვე წინასწარი გამოძიების საკანში იმყოფება, ის კი კინოვარსკვლავივით კოხტაპრუწობს ტელეეკრანებზე, უხვად იძლევა ინტერვიუებს... და აი, თვალსაჩინო ფაქტი: როგორც ეკა კვესიტაძის („მთავარი არხი“) სატელევიზიო გადაცემა „აქცენტებიდან“ შევიტყვეთ, ადვოკატმა კობაიძემ დასაცავებს ურჩია გამომძიებლებთან წასვლის წინ ხელებზე ფრჩხილები დაეჭრათ. ისმის კითხვა – რატომ? იმ მკითხველმა, რომელსაც თუნდაც ერთი საღამო გაუტარებია დეტექტიური რომანის კითხვაში ან დეტექტიური ფილმის ყურებაში, იცის, რომ მკვლელობა იხსნება დამნაშავეთა ფრჩხილებში აღმოჩენილი მსხვერპლის დნმ-ით.

თუმცა, რა უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავიხსენებთ, რომ ალექსანდრე კობაიძე სწორედ ის ადვოკატია, რომელიც იცავდა ბოროტმოქმედ მალხაზ კობაურს: სამი ამერიკელის – რაიან, ლორა სმიტებისა და მათი ოთხი წლის შვილის მკვლელს. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედმა, როცა ტყვიით დახოცა მამა და ბავშვი, სანამ ლორას მოკლავდა, ქალი გააუპატიურა.

დავაზუსტებ: იმაში, რომ კობაიძე კობაურს იცავდა, არაფერი უჩვეულო და დასაძრახი არ არის, ლაპარაკია სხვა რამეზე: როგორც კი კობაიძემ საქმეს ხელი მოჰკიდა, დამნაშავე, რომელმაც ცხელ კვალზე უკვე აღიარა ჩადენილი და ის ადგილიც კი უჩვენა, სადაც მოკლული ბიჭუნა ჰყავდა დამარხული, მაშინვე უარყო თავისი ადრინდელი ჩვენება და თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა. ამის შემდეგ ადვოკატმა გამოძიებას „შეუგდო“ ვერსია სმიტების მკვლელობაში „რუსული კვალის“ არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, სასამართლომ მოძალადესა და მკვლელს დამსახურებისამებრ მიუზღო – უვადო პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ნიუანსი, რომლის შესახებაც არ შემიძლია არ ვთქვა. ტელეარხ „კავკასიაში“ ინტერვიუს დროს კობაიძემ მოულოდნელად განაცხადა, რომ, თურმე, როცა ის ბოროტმოქმედ კობაურს იცავდა, „ქართული საზოგადოება შედარებით ლოიალურად იყო განწყობილი მისი დასაცავის მიმართ, ვიდრე ამჟამადო“. საშინელი ფრაზაა, რა უნდა თქვა?! დასკვნები თვითონ გააკეთეთ.

ბატონ გვარამიასა და მისი იდეური პარტნიორების მიზანი, რა თქმა უნდა, ნათელია: საზოგადოებას, მოსახლეობას თვალნათლივ წარმოუჩინოს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ისეთივე დამნაშავე და ნაძირალაა, როგორიც წინა, მიხეილ სააკაშვილის დროისა, რომლის ერთგული ოპრიჩნიკიც იყო და დღესაც რჩება არამზადა გვარამია. ამ მიზნით გამოიყენება გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის „მისადაგება“ სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და სააკაშვილის რეჟიმის სხვა მსხვერპლთა მკვლელობასთან, ანუ ტალახით მოსვაროს პოლიტიკური ოპონენტი და ამით ერთგვარად „გაითეთროს“ თავი.

დაბოლოს, მოკლე დასკვნა: თუ დღეს ვინმეა დაინტერესებული იმით, რომ არაგვის ნაპირზე მომხდარი მკვლელობა არ გაიხსნას, ჩემი რწმენით, ეს ბატონი გვარამია და მის მხარდამხარ მდგომნი არიან, და არავითარ შემთხვევაში ხელისუფლება, „ქართული ოცნება“, რომლებსაც ამ საქმის სამართლიანი გამოძიება და მისი ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა ჰაერივით, დიახ, უბრალოდ ჰაერივით სჭირდებათ.

ვადიმ ანასტასიადი

P.S. **გიორგი შაქარაშვილის** საქმის ფიგურანტთა დამცველი ადვოკატები ლამის ერთხმად აცხადებენ, საქმე სასამართლოზე დაიშლება, გიორგის სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდებაო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მომავალი სასამართლო პროცესის ამგვარი დასასრული მრავალთ აძლევს ხელს.

ვ. ა.

გიორგი სუხიტაშვილი:

„შაქარას“ ამბავი ტრაგედიების დასასრული არ იქნება!

სამწუხაროდ, „შაქარას“ ამბავი ტრაგედიების დასასრული არ იქნება. სანამ სპორტსმენები არ დაანებებენ თავს სხვის საძმეებში ცხვირის ჩაყოფას და არ დარჩებიან იქ, სადაც მათი ადგილია, ეს პრობლემა სულ იარსებებს“, – ამის შესახებ მომღერალმა **გიორგი სუხიტაშვილმა** განაცხადა.

– გიორგი, სპორტსმენები, რომლებიც უნდა იყვნენ ახალგაზრდებისთვის მისაბაძი ადამიანები, საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ გახშირდა სპორტსმენების მიერ ძალადობის ფაქტები?

– ჩვენ გვაქვს მიმბაძველობის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ჩვენ შეგვიძლია, სპორტსმენებს მივბაძოთ ყველაფერში, როგორც კარგ, ისე ცუდ საქციელში. ამას ხელს უწყობს ის, რომ ვიღაცეებმა დანაშაული ჩაიდინეს, არ დაისაჯნენ და, შესაბამისად, დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდა. პოლიტიკური განცხადებები არ მიყვარს, თუმცა, ყველა ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ და გაჩუმებამ მოგვიყვანა აქამდე. სპორტსმენები ძალიან აქტიურად გამოჩნდნენ პარლამენტში. შემდეგ, გვახსოვს, რომ პარლამენტარი სპორტსმენების გარემოცვაში არც თუ სასიამოვნო ამბები ტრიალებდა. მათ ერთგვარი ჯავშანი ჰქონდათ და რასაც უნდა, იმას აკეთებდნენ.

– ამ შემთხვევაში გამოსავალს რაში ხედავთ?

– ამ შემთხვევაში არ ვლაპარაკობ ან წინა პარლამენტზე, ან ამ მთავრობაზე. სანამ ე.წ მფარველობა არ მოიშლება, ყოველთვის იქნება ეს პრობლემა. სპორტსმენი, რომელიც მთავრობასთან არის დაახლოებული, არის პრივილეგირებული. ეს ქმნის დაუსჯელობის სინდრომს. ეს დიდი წრეა, ჩვენ აისბერგის წვერს ვუყურებთ და გვგონია, რომ რაღაც დავინახეთ. სინამდვილეში ვერაფერიც ვერ დავინახეთ. ეს პრობლემა არ დამთავრდება. ეს კუდს კიდევ მოიქნევს. მე იმ ხალხისაც მიკვირს, ხმას რომ არ იღებს. გულწრფელად გეტყვით, თუნდაც ვინც ე.წ. შავ სამყაროს წარმოადგენს, მათაც მინდა ვკითხო: მოსწონთ, რაც ხდება?!

იხ. 5 გვ.

როცა მეზობლები ჩხუბობენ...

კონფლიქტი ყარაბაღისგან მოშორებით თოვუზის რეგიონში 12 ივლისს განახლდა. ეპიცენტრიდან საქართველოს საზღვრამდე 55 კილომეტრია. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მოუწოდებს მხარეებს, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედებები სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, რომ პროცესები სამშვიდობო შეთანხმებისკენ წავიდეს. სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა პერიოდულად მწვავდება, თუმცა, საყურადღებო ფაქტია ის, რომ კონფლიქტი პირველად გასცდა მთიანი ყარაბაღის გეოგრაფიას და ამჟამად უშუალოდ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ფიქრობს, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მიმდინარე მოვლენებმა, შესაძლოა, მთელი რეგიონის უსაფრთხოებაზე მოახდინოს ზეგავლენა. შესაბამისად, ექსპერტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ უზრუნველყოს ნიკოლ ფაშინიანის და ილჰამ ალიევის შეხვედრა თბილისში, საერთაშორისო ორგანიზაციების მედიაციის მეშვეობით. როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები მეზობელ რეგიონში და როგორია საქართველოს როლი? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.

ხომ არ მოგვწვდება სომხეთ-აზერბაიჯანის ომის ცეცხლი?

— სომხეთი და აზერბაიჯანი საომარი მოქმედების ზღვარზე არიან. სომხური მხარე ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანმა დაკარგა 4-ვე სიმაღლე და გადავიდა სომხეთის კონტროლქვეშ. საბრძოლო შეტაკებები, რომელიც ახლა მიმდინარეობს, შეიძლება გადაიზარდოს ფართო მასშტაბიან საომარ მოქმედებებში. არის ამის საფრთხე?

— ვითარება უკვე გადავიდა დაბალი ინტენსიური სამხედრო კონფლიქტის განსაზღვრებაში. ფაქტობრივად, ინტენსიური შეტაკებებია არა მარტო ერთი ლოკალური ტიპის სასაზღვრო ზონის ფარგლებში, არამედ უკვე მოიცავს ყველა სასაზღვრო ზოლის მიმართულებას. ბოლო ინფორმაციით, ნახიჩევანის მიმართულებითაც შეიმჩნევა საბრძოლო მოქმედებების ინტენსიფიკაცია.

მხარეები იყენებენ ზალპურ საარტილერიო სისტემებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე აღარ არის მარტო ლოკალური შეტაკებები, არამედ უკვე წარმოადგენს საბრძოლო მოქმედებების სერიოზულ საფრთხეს. ახალი ტექნოლოგიაა დრონების გამოყენება, რომელიც არის ტაქტიკური ავიაცია.

— რომელი მხარე იყენებს დრონებს?

— ორივე. რაც ყველაზე საინტერესოა, ტოტალურად მიმდინარეობს ფსიქოლოგიური და კიბერ ომი, ისეთ დონეზე, რომ ფერხდება საინფორმაციო სააგენტოების მუშაობა. ფაქტობრივად ნადგურდება მათი სერვერები. ეს უკვე კლასიკური ინტენსიური სამხედრო კონფლიქტია, რომელიც მიმდინარეობს საარმიო კორპუსების დონეზე. ორივე მხრიდან ჩართულია მთელი საარმიო კორპუსი. იმედია, რომ ეს კონფლიქტი არ გადაიზრდება კიდევ უფრო მაღალი დონის შეტაკებებში, ანუ ლოკალურ ომში. იმიტომ, რომ ლოკალური ომი უკვე იქნება სახელმწიფოებს შორის კლასიკური ომის მაგალითი.

— ლოკალური ომის წინაპირობები არსებობს?

— რა თქმა უნდა. თანდათან ხდება საბრძოლო ავიაციის და რეზერვების მობილიზაცია. აზერაიჯანის პირველი საარტილერიო ბრიგადა გადაისროლეს კონფლიქტური ზონის მიმართულებით. ბრიგადის გადასროლა საკმაოდ სერიოზული ფაქტია იმიტომ, რომ იქ უკვე არის 30 საარტილერიო ზალპური შენაერთების კომპლექსები, რომლებსაც ფაქტობრივად შეუძლიათ 20-დან 25 კილომეტრის მანძილზე განახორციელონ საარტილერიო დარტყმები. პრინციპში, არ არის გამორიცხული, რომ გადავიდეს ოპერატიული დივერსიული ჯგუფების და დაზვერვის შეტაკებების დონეზე და უკვე შემდგარ ფაქტად მივიღოთ სახმელეთო შენაერთების შეტაკებები. იმედია, რომ ვითარება აქამდე არ მივა. თუმცა, სამწუხაროდ, ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

— სამხედრო დაპირისპირება მიმდინარეობს, მაგრამ თითქოსდა, ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებით არის ჩართული ამ პროცესში...

— 14 ივლისს ბაქოში დაახლოებით 100 ათასი ადამიანი გამოვიდა, თავდაცვისა და შს მინისტრებმაც კი ვერ მოახერხეს მიტინგის დაშლა. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან რეაგირებას. მოსახლეობის ამ პოზიციამ შეიძლება ხელმძღვანელობას კონკრეტული ნაბიჯებიც გადაადგმევინოს. უკვე აზერბაიჯანში გარკვეული პოლიტიკური ხელმძღვანელობა პირდაპირ მოითხოვს, რომ დროა სომხეთს ჭკუა ასწავლონ და მზად არიან! ომი გამოუცხადონ სომხეთს. ამაში ჩართული არიან აზერბაიჯანის პარლამენტის წევრები და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი.

— ამ ეტაპზე, რასაც ვაკვირდებით, სომხეთის პოზიცია უფრო მყარია. ეს იმ ფონზე, როდესაც ფაშინიანი არ არის გავლენიანი ფიგურა, მით უფრო სამხედრო მიმართულებით ის არის სუსტი, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ჰყავს თავდაცვის სფეროში...

— ფაშინიანი არის სახელმწიფოს ახალი მეთაური. წინამორბედებისგან განსხვავებით, მას აკლია გამოცდილება და განსაკუთრებით კრიზისულ მდგომარეობაში არ აქვს გამოცდილება. ალიევს ეს გამოცდილება აქვს. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა ამ მიმართულებით. კერძოდ, აზერბაიჯანი-სომხეთის ხუთდღიანი ომის ფარგლებში. შესაბამისად, ალიევი უფრო კარგად მართავს ვითარებას, ვიდრე ნიკოლ ფაშინიანი. ალიევმა მოახერხა უშიშროების საბჭოს შეკრება, ნიკოლ ფაშინიანმა კი თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაც ვერ მოახერხა.

— ალიევს ამ კონფლიქტში მხარს უჭრს თურქეთ...

— მთლად ასეც ვერ ვიტყვით. თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს იმიტომ, რომ მათ შორის არსებობს სპეციალური სამხედრო შეთანხმება და ორმხრივი ალიანსი, რომელიც გულისხმობს შემდეგს — თუ აზერბაიჯანი გახდა მესამე სახელმწიფოს მსხვერპლი, თურქეთი აღმოუჩენს სამხედრო დახმარებას. ყველა წინა კონფლიქტისგან განსხვავებით, დღეს პირველად ხორციელდება სახელმწიფოთაშორისი საომარი მოქმედებების ინსპირაცია. ეს არ არის მთიანი ყარაბაღის გამო დაწყებული საბრძოლო მოქმედებები, ეს უკვე არის ორ სახელმწიფოს შორის პირდაპირი დაპირისპირების კონფლიქტი.

— სახელმწიფოთაშორისი ომების აჩრდილი საკმაოდ მყარად იმკვიდრებს ფეხს კავკასიაში...

— ძალიან ცუდი ტენდენციაა. სირიის კონფლიქტმა გვიჩვენა ლოკალური ომი, რომელიც ვითარდებოდა სირიასა და თურქეთს შორის, გადაიზარდა რეგიონული ომის ფორმატში და მიიღო კოალიციური ომის ფორმატი. დღეს არის ლოკალური ომის რეალური პერსპექტივები. თვითონ ნიკოლ ფაშინიანს აქვს საკმაო სირთულეები სამხედრო ხელმძღვანელობასთან. რატომ? — იმიტომ, რომ მან ვერ მოახერხა ძველი, სერჟ სარგსიანის ყარაბაღის დაჯგუფების მიერ შედგენილი შეიარაღებული ძალების გაწმენდა. მან მოახერხა სასამართლოს და საპოლიციო ძალების გაწმენდა, მაგრამ თავდაცვის ძალების მიმართულებით ეს ვერ შეძლო.

ფაშინიანის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა სერიოზული ოპოზიციური ძალა. საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ კორონავირუსთან არაეფექტურმა ბრძოლამ, მძიმე ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ შეიწირა მისი რეიტინგი. გარდა ამისა, არასისტემური მიდგომა აქვს საგარეო პოლიტიკური მიმართულებით. ხან პროდასავლურ მიდგომას ანვითარებს, ხან რუსეთთან არის. ბუნებრივია, რუსეთს ასეთი ქმედებები ხელს არ აძლევს და ეს გამოჩნდა კიდევაც, როდესაც სომხეთის თხოვნა, რომ შეკრებილიყო კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის არაგეგმიური სამიტი, რუსეთმა არ მოიწვია.

— ამ შემთხვევაშიც რუსეთმა დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, მხარეებს მოუწოდებს შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები, რაც რუსეთისთვის ნამდვილად უჩვეულო ნაბიჯია...

— გეთანხმებით, მოსკოვი ორჭოფული პოზიციით გამოვიდა. აშკარად ჩანს, რომ პუტინი, რომელიც არასოდეს არ პატიობს შეცდომას არავის, ცდილობს დასაჯოს ფაშინიანი, რომელსაც სთხოვა, რომ ხელი არ ეხლო კოლექტიური უსაფრთხოების საბჭოს გენერალური მდივნის, გენერალ-პოლკოვნიკ ხაჩატურიანისთვის. ეს თხოვნა არ შეუსრულა ფაშინიანმა და ხაჩატურიანი ციხეში გაუშვა. ჯერ გამოიძახა გენერალური მდივნის თანამდებობიდან და მერე ციხეში გაუშვა. წარმოიდგინეთ, ტრამპმა ნატოს გენერალური მდივანი რომ გამოიძახოს და მერე ციხეში გაუშვას, როგორი არასასიამოვნო ფაქტი იქნება.

კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია რუსეთისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი თავდაცვითი ბლოკი, რომელიც უპირისპირდება ნატოს და ითვლება ერთგვარი სერიოზული ტიპის სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად, რათა რუსეთმა ევრაზიის სივრცეში გააძლიეროს სამხედრო პოტენციალი და დაუპირისპირდეს ნატოს და აშშ-ს. ფაქტობრივად, ასეთი ორგანიზაციის ფორმატს და სტატუსს ეჭვსქვეშ აყენებს ნიკოლ ფაშინიანი და იგნორს უკეთებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ფაშინიანის ეს ქმედება პუტინის მხრიდან რეაქციის გარეშე არ დარჩებოდა.

ასევე, სომხეთში იქმნება საკმაოდ ძლიერი, პრორუსული კოალიცია დაშნაკცუთუნის და გარიკ ცარუთუნიანის „კეთილდღეობის პარტიის“ ალიანსი „სამშობლო“, რომელიც მიმართულია ფაშინიანის წინააღმდეგ. ეს იმ ფონზე, როცა ფაშინიანმა დაიწყო „კეთილდღეობის პარტიის“ წევრების პოლიტიკური რეპრესიები. ამ დროს ეს პარტია საკმაოდ სერიოზულია, აქვს საკმაოდ ძლიერი საპარლამენტო ფრაქცია და, როგორც გითხარით, ეს არის პრორუსული მიმართულების ძალა. არ არის გამორიცხული, მოსკოვმა ეს მომენტები გამოიყენოს ფაშინიანის ხელისუფლებიდან გადაყენების სცენარის გასათამაშებლად.

— დღეს თურქეთი ღიად ამბობს, რომ თუ კონფლიქტი მიიღებს უფრო რთულ სახეს, ის ჩაერთვება აზერბაიჯანის მხარდასაჭერად. თუ თურქეთი ჩაერთო, ცხადია, რომ კონფლიქტში ჩაერთვება რუსეთიც. ამ შემთხვევაში საქართველოს როლი როგორია, გახდება საქართველო კორიდორი?

— ეს ვითარება ლიბანიზაციას მაგონებს, როდესაც ლიბანი იყო კორიდორი, მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი - 2012 წლიდან საქართველო ჩაერთო სამმხრივ კავკასიურ ფორმატში. ანუ, ეს არის თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო, სადაც მოქმედებს პრეზიდენტების სამიტი და თავდაცვის მინისტრების საბჭო ერთგვარ სამხედრო ელემენტსაც შეიცავს. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო, რომ თურქეთის გენშტაბის უფროსმა და თავდაცვის მინისტრმა გააკეთეს განცხადება, რომ თურქეთი ხმელეთით გაუწევს დახმარებას აზერბაიჯანს. ეს იყო მინიშნება, რომ თურქეთმა შეიძლება საქართველოს მოსთხოვოს სამმხრივ ფორმატში მოახდინოს აზერბაიჯანისათვის სამხედრო დახმარების გაწევა.

— მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალური ფორმატია, შეიძლება თურქეთმა საქართველოს კორიდორის ფუნქციის შესრულება მოსთხოვოს?

— გასაგებია, რომ არაფორმალურია, მაგრამ ეს ფორმატი მოქმედებს. 4 შეხვედრა ჩატარდა თავდაცვის მინისტრების დონეზე, 3 შეხვედრა — პრეზიდენტების დონეზე. პოლიტიკურ დონეზე კეთდებოდა განცხადება, რომ თურქეთის და აზერბაიჯანის სახით ჩვენ გვყავდა სტრატეგიული მოკავშირე და რომ ეს ფორმატი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფორმატს რუსული აგრესიის შესაკავებლად.

აქ კიდევ მეორე უკიდურესობაში გადავდივართ: 2011 წელს მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციასთან გააფორმა სამხედრო ტრანზიტის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის გიუმრის ბაზისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას, მართალია, არა საბრძოლო, მაგრამ შეიარაღებული ძალების და არასაბრძოლო მასალების უპრობლემოდ გადაადგილებას.

— ამ შეთანხმებას იურიდიული საფუძველი აქვს?

— კი, რა თქმა უნდა. თუ სიტუაცია დაიძაბა, რუსეთმა შეიძლება ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოახდინოს ჩვენი ტერიტორიის გამოყენება. რუსეთს ექნება არგუმენტი, მიმდინარეობს საომარი მოქმედებები და ვალდებული ვარ გადავისროლო სამხედრო შენაერთი და ამისთვის გამოვიყენო საქართველოო. შეიძლება არც-კი შეეკითხოს ჩვენს ხელისუფლებას და ამ შეთანხმების ფორმატში დაიწყოს შეიარაღების და ცოცხალი ძალის გადაყვანა შესაბამისი დისლოკაციის მიმართულებით. იმედია, რომ საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ საფრთხე რეალურია. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ორი შეთანხმების კუთხით, საქართველომ თავისი თავი ერთგვარი დილემის წინაშე დააყენა.

თურქეთი და რუსეთი არიან რეგიონული ჰეგემონები, მათ განუსაზღვრელად ძლიერი სამხედრო პოტენციალი აქვთ. რეგიონის მასშტაბით თურქეთის შეიარაღებული ძალები ნამდვილად არ ჩამორჩება რუსეთის შეიარაღებულ ძალებს. სომხეთის მიმართულებით „დამიზნებულია“ მეორე და მესამე საველე არმიები. რუსეთს ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში განთავსებული ჰყავს 15 ათასი სამხედრო მოსამსახურე, რომ არაფერი ვთქვათ ჩრდილოეთ კავკასიაში განთავსებულ 58-ე არმიაზე. ახალ შექმნილი მე-8 არმია ებჯინება სწორედ დაღესტნის მიმართულებას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენთვის მობჯენილი კადიროვის კერძო არმია, რომელიც მოიცავს 20-დან 25 ათასამდე ადამიანს, რომელიც ისე კარგად არის აღჭურვილი, რომ მათ არ გაუჭირდებათ საქართველოს ტერიტორიაზე ინფილტრაცია და აქედან შეტევაზე გადასვლა. მით უმტეს, რომ 2018 წელს ჩეჩნეთში შეიქმნა სპეციალური ძალების უნივერსიტეტი და ამ უნივერსიტეტის კურსანტების ერთ-ერთი დავალებაა სასწავლო წვრთნების ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩუმად გადმოსვლა და უკან დაბრუნება.

— ანუ, რა პოზიციაც არ უნდა დავიკავოთ, ჩვენი, ლიბანიზაცია გარდაუვალია?

— ეს იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია გადავა რეგიონული ომის დონეზე. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს გადავიდეს ლოკალური ომის დონეზე და, მით უმეტეს, რეგიონული ომის დონეზე.

თამთა ძარჩავა

გიორგი სუხიტაშვილი:

შაქარას ამბავი ტრაგედიების დასასრული არ იქნება!

(მესამე გვერდიდან) ე.წ. შავი სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, არიან და იქნებიან. სკოლაშია ქურდულ გარჩევებზე საუბარი. სოციალურ ქსელში ვნახე, რომ სკოლის ბანკეტზე მაისურებზე ქურდული სიმბოლიკები ახატიათ. თქვენც ხომ გყავთ შვილები და გაუფრთხილდით შვილებს.

— გიორგი, სპორტსმენმა პარლამენტარებმა რა უნდა მოიქმედონ, რათა სპორტსმენების მხრიდან არ იყოს ძალადობის ფაქტები?

— ღიმილის მომგვრელია სიტყვა, რომ პოლიტიკა უნდა გავმიჯნოთ სპორტისგან - ვერ გავმიჯნავთ. პროფესიები, რომლებიც მასობრივია, ვერანაირად ვერ იქნება პოლიტიკის გარეშე. უბრალოდ, როგორც პროფესიონალი თავად უნდა გაემიჯნო, კანონი კი არ უნდა გზღუდავდეს. მაგრამ, ეს ყველაფერი მოდის განათლების ნაკლებობიდან, ინფორმაციის არქონიდან და კიდევ — ორი მეტრის იქით გახედვა რომ არ შეგვიძლია. ორ მეტრზე კი არ უნდა ვიხედებოდეთ, ცოტა შორს უნდა ვიყურებოდეთ, რადგან ხშირად დავინახოთ, რა შეიძლება მოგვიტანოს ჩვენმა ქმედებამ. პარლამენტში არიან ვეტერანი სპორტსმენები, რომლებსაც სიტყვა ეთქმით. მათ შეიძლება კანონპროექტზე არ იმუშაონ, მაგრამ ერთგვარი საინიციატივო ჯგუფი უნდა შექმნან, რომელიც ერთგვარ პრევენციას მოახდენს და საინფორმაციო სახის იქნება. უნდა შეხვდნენ მწვრთნელებს, კლუბების წარმომადგენლებს და მათთან უნდა იყოს ტრენინგები. ფსიქოლოგების ჩართვა უნდა იყოს, ყველა კლუბს უნდა მოეთხოვოს, რომ ფსიქოლოგი ჰყავდეს. ასევე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო დაწესებულებებს და რაც მთავარია — ოჯახს. ოჯახია ერთ-ერთი მთავარი ღერძი. ეს სიტუაცია აუცილებლად უნდა გაჯანსაღდეს. თორემ, ეს არის რუტინა, რომელიც არ გატყდება, პირიქით ძალას იკრებს და ვნახეთ, რომ დანაშაულებს შორის დრო შემცირდა. ჩვენს ქვეყანაში სულ არჩევნებია, სულ რაღაც დაძაბულობაა და ეს სპორტსმენები ხან სად გამოჩნდებიან და ხან სად. აქედან მინდა ვთხოვო, რომ გაემიჯნონ პოლიტიკურ პერიპეტიებს. მაქსიმალურად ეცადეთ, რომ დაპირისპირების ეპიცენტრში ნუ მოხვდებით. ჩვენს ქვეყანაში ამისტობა და იმისტობა უნდა დავასრულოთ. ქვეყნისთვის უნდა ვაკეთოთ რაღაცები და არა რომელიმე კონკრეტული გვარებისთვის.

— სამწუხარო სინამდვილეა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელის სიკვდილში სპორტსმენები არიან გარეულები და ელოდებით, რომ სამაგალითოდ დაისჯებიან?

— სამწუხაროდ, მოლოდინი არ მაქვს კარგი. პირველ რიგში ის, რომ ბიჭი აღარ არის და ამას აღარაფერი ეშველება. ვფიქრობ, ენის მოჩლექვით ამაზე ლაპარაკი არასწორი იქნება. თუ ყველა ამბავზე ქუჩაში არ გავდივართ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ფეხებზე გვკიდია ან არ გვაინტერესებს. არა, ეს ილექება გონებაში და შემდეგ გადაწყვეტილებებში ისახება. გამოძიების მიმართ ნდობა არ მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მე კანონმორჩილი მოქალაქე ვარ. თუმცა, ასეთ გახმაურებულ საქმეებში, კარგად ჩანს ხოლმე, რომ ვიღაცების ინტერესები იკვეთება და კონკრეტული ადამიანების მფარველობა ჩანს. შემდეგ, გინდა, არ გინდა, ნდობა უკვე ძალიან ნაკლები გაქვს. მე მინდა რომ ნდობა მქონდეს, მე მინდა რომ ეს მოჯადოებული წრე ვინმემ გაჭრას და თქვას, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ეს სანამ არ მოხდება, სულ ამ წრეზე ვივლით. შაქარას საქმეში, გარდა ჩვენებებისა, ბევრი რამ არის საეჭვო.

შაქარას ამბავი ვერ იქნება დასასრული, სამწუხაროდ. სანამ სპორტსმენები არ დაანებებენ თავს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას და არ დარჩებიან იქ საღაც მათი ადგილია, ეს პრობლემა სულ იარსებებს.

შაქარაზე ძალიან მწყდება გული, რომ ვერ განახორციელა თავისი ოცნებები. მის ოჯახს, კლუბს, თანაგუნდელებს, მეგობრებს ვუთანაგრძნობ. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს და ახალგაზრდა ბიჭები ასე არ უნდა იღუპებოდნენ. ვინც დამნაშავეა, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

ეკოლოგიურ პრობლემებზე საუბარმა მიკროავტობუსებში გადაინაცვლა

რუსთაველი ეკოაქტივისტების ჯგუფმა — „გავიგუდე“, მოქალაქეებთან ეკოლოგიურ პრობლემებზე სასაუბროდ კომუნიკაციის უჩვეულო ფორმას მიმართა.

აქტივისტები მიკროავტობუსებს ქირაობენ, თბილისიდან რუსთავისკენ და პირიქით მგზავრები უფასოდ გადაჰყავთ და იმ 40 წუთის განმავლობაში, რაც ორ ქალაქს შორის მანძილის გავლას სჭირდება, მგზავრებს დაბინძურებულ ჰაერზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, რუსთავის გამწვანების აუცილებლობასა და გარემოს დასაცავად მომზადებულ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე ელაპარაკებიან. „რადიო თავისუფლება“ ეკოაქტივისტებს დაემგზავრა იმ მიკროავტობუსში, რომელშიც „გავიგუდეს“ ლიდერი, ნიკოლოზ მუსერიძე, და სამოქალაქო ატივისტი გივი შანიძე იმყოფებოდნენ.

„ერთი წლის განმავლობაში (2020 წელს) პიკის დროს აღირიცხა 77- პროცენტიანი ჰაერის დაბინძურება. რას ნიშნავს ეს ციფრი? ეს ნიშნავს, რომ 365 დღის განმავლობაში ჩვენს ქალაქში 80 დღე იყო ნორმალური ჰაერი“.

ასე უხსნიდა ეკოლოგიურ პრობლემებს „გავიგუდეს“ ლიდერი ნიკოლოზ მუსერიძე, რუსთავისკენ მიმავალი თითქმის სავსე მიკროავტობუსის მგზავრებს. ვერ ვიტყვით, რომ ეკოაქტივისტს ყველა მგზავრი გულდასმით უსმენდა, თუმცა უმეტესობა შეკითხვებსაც სვამდა და მეტის გაგება სურდა. მაია თევდორაშვილმა, რომელიც ოჯახთან ერთად მგზავრობდა, ჩასვლის წინ გვითხრა, რომ ასეთი აქციები მნიშვნელოვანია: **„კიკვიძის ქუჩაზე ვცხოვრობ. საშინელი სუნია. ჩემი აივნიდან კარგად ჩანს, რა ფერია ჰაერი...ადამიანების ყურამდე უნდა მივიტანოთ ჩვენი სათქმელი“.**

მეორე მიკროავტობუსში მგზავრებს აქტივისტები გოგა ჯმუხაძე და თიკო მაგედანი ელაპარაკებოდნენ. გოგა ჯმუხაძის თქმით, მათ კომუნიკაციის ასეთი ფორმით სურთ ეკომოძრაობაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩართონ: **„გავიგუდეს“ წევრებმა, ზოგმა საერთოდ დაანება სამსახურს თავი და გადაეშვა კანონების შესწავლაში, ზოგმა სამსახურში პროექტები არ აიღო და გაიმესამედა ხელფასი. ადამიანური რესურსიც ამოწურვადია. გვჭირდება ადამიანები, მოხალისეები, რომლებიც გვერდში დაგვიდგებიან, კვირაში ერთ ან ორ საათს ეკოაქტივიზმს დაუთმობენ და...**

კი გამოდის. მოსახლეობაში ცნობიერების ასამაღლებლად წამოწყებულ კამპანიაში აქტივისტებს „ბიოლის ფონდი“ ეხმარება. რუსთავში არსებულ საწარმოებს პერიოდული მონიტორინგისთვის საექსპერტო კომპანია „გამა კონსალტინგი“ ჰყავთ დაქირავებული, რომლის ანგარიშები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგზავნება. კომპანიის წარმომადგენელ გურამ რიჟვაძის ინფორმაციით, „ჯეოსთილში“ ფოლადის ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესი მთლიანად დარღვეულია.

საჩამომსხმელო საამქროში არსებული ვენტილატორის სიმძლავრე და გამონაბოლქვის შემკრები ქოლგის მოცულობა არ შეესაბამება ერთმანეთს. (ღუმელში) ჟანგბადის შებერვის დროს, რაც აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესია, საამქროს ყველა კუთხიდან, ყველა ფანჯრიდან, ყველა ნახვრეტიდან ბოლი გამოდის. ეს მოსახლეობისთვის სახიფათოა“.

„გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლის თქმით, უკეთესი მდგომარეობა არც სხვა საწარმოებშია. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ხუთტონიანი წარმადობის არც ერთ ღუმელს ფილტრი არ უყენია. გურამ რიჟვაძის ინფორმაციით, ქარხანა ამ ღუმელების დემონტაჟს აპირებს.

დავით მჟედლიძე

ამირან გამყრელიძე - ქვეყანაში ეპიდსიტუაცია სრულად მართვადია

— ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, ზაფხულის პერიოდში საქართველოშიც მსუბუქი და საშუალო სიმძიმის შემთხვევები გაცილებით მეტია, ვიდრე აპრილ-მარტში იყო.

„იქნება ხუთი, ათი, თუ 12 შემთხვევა, მთავარია, რომ მდგომარეობა მართვას ექვემდებარება. რაც შეეხება პაციენტების მდგომარეობას, ზოგადად, გლობალურად არა მარტო საქართველოში, კოვიდის სიმძიმე უფრო მცირდება. სიკვდილიანობის პროცენტი შვიდიდან 4.1 პროცენტზე ჩამოვიდა. ამ ზაფხულის პერიოდში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთანაც მსუბუქი და საშუალო სიმძიმის შემთხვევები გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე ეს იყო აპრილ-მარტში, ანუ დინამიკა არის შემსუბუქებული და მძიმე ავადმყოფები თითქმის არ იყო. გვყავდა ერთი კრიტიკული პაციენტი, რომელიც სამწუხაროდ, დღეს გარდაიცვალა“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

საქართველოში კორონავირუსით კიდევ ერთი, მე-16 პაციენტი გარდაიცვალა

ამის შესახებ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ დაადასტურა.

მისი თქმით, პაციენტი 70 წელს გადაცილებული მამაკაცია, რომელიც თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობდა.

პაატა ნაცვლიშვილი

დარჩისალოშისა

რამდენიმე ფეისბუქ-პოსტი რჩეული კომენტარებით სმაილიკების გარეშე



I
20 მარტი, 18:40-ზე

კორონ(არ)ული ამბავი

ჩვეულებრივი კორონავირუსული დღე გათენდა. ნებაყოფლობით თვითიზოლირებული ვზივარ შინ და ოთარ ჭილაძის ლექსებს ვკითხულობ. ფეისბუქმა გამახსენა, რომ დღეს მისი დაბადების დღეა და მაშინვე მისი წიგნი გადმოვიღე თაროდან.

„და უცებ ვხვდები, რომ ფარდებს იქით / მეოცე დღეა მესამე თვისა“, — ვკითხულობ საკუთარი დაბადების დღისადმი მიძღვნილ მის ლექსს და უცებ კარზე ზარია!

არავისველი-არავინდამიპატიჟია-არავის შემოვუშვებ! — ამ ფიქრებით შეპყრობილი ვიყურები სამზერ ჭუჭრუტანაში და რაც შეიძლება ცივად ვკითხულობ:

— ვინ არის?!

სიცივე სიცივედ, მაგრამ, მგონი, ისეთი მკაცრი ტონი მაქვს, რომ „ვინც-გინდა-იყო-მაინც-არ-გავაღებ!“ თავისთავად იგულისხმება.

— ზეინაბ სარია! — რაც შეიძლება თბილად მეპასუხება ჩემთვის უცნობი ქალბატონი, რომელსაც სახის ნახევარს, როგორც ჭუჭრუტანიდან ჩანს, ჰიგიენური ნიღაბი უფარავს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ნინო დარბაისელმა ამერიკიდან მოგვიწოდა თავის ფრენდებს, მოასწარით და შეიძინეთ ჟურნალ „ებგურის“ ახალი ნომერიო, სხვა უაღრესად საინტერესო მასალებთან ერთად ჩემს მოკრძალებულ კრიტიკულ წერილებს და ოპუსებსაც გაეცნობითო!

მანამდეც მქონდა გაგებული ამ ჟურნალის არსებობა და ვეძებდი კიდეც. ვინც ჩემი ბიბლიოზეუმის

ამბავი იცის, კარგად მოეხსენება, რომ წიგნებზე მეტად ქართულ ჟურნალ-გაზეთებს დავეძებ და ვაგროვებ. ჰოდა ნინოსაც მივუკომენტარე:

„ვირუსის მიუხედავად, დიდი სიამოვნებით შევიძენდი ამ მართლა საინტერესო ჟურნალის ყველა ნომერს, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისში ვერსად მივაკვლიე. საწყენია, თუ მხოლოდ ზუგდიდში ვრცელდება.“

იმავე დღეს პირადში ჟურნალის რედაქტორი ზეინაბ სარია შემეხმიანა. სამწუხაროდო, ჟურნალს ვერ ვყიდითო, იმიტომ, რომ ზუგდიდის მერია აფინანსებს მის ბეჭდვას და აქვს მოთხოვნა, რომ არც ერთი ეგზემპლარი არ უნდა გაიყიდოსო. ვირუსის მიუხედავად, სიამოვნებით მოგაწვდიდით „ებგურის“ ნომრებს, თუ მისამართს მომწერთო.

მისამართი, რა თქმა უნდა, მივწერე, მადლობაც მოვახსენე გამოხმაურებისთვის და კიდევ ერთხელ დავფიქრდი ამ რაღაც გაუგებარ ფინანსურ რეგულაციაზე, რომელიც მოწადინებულ მკითხველს არ აძლევს საშუალებას, შეიძინოს ჟურნალი! და ასეთ დღეში მარტო „ებგური“ არ არის. ასევე არ იყიდება მშვენიერი ჟურნალი „კულტურა პლუსი“, არ იყიდება ძალზე საინტერესო ჟურნალი „ჩემი სამყარო“, არ იყიდება ჟურნალი „ოლიმპიელი“, რომელსაც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი აფინანსებს და რომლის რედაქტორიც მე გახლავართ. არ და ვერ იყიდება კიდევ რამდენიმე ამავე წესით დაფინანსებული ჟურნალი. გასაყიდად არ დაშვებულ წიგნებს ხომ თვლა არა აქვთ! თუ პრეზენტაციაზე ვერ მოიხელთე, იყავი მერე ვარდივით! სხვასთან რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ „ოლიმპიელის“ შემთხვევაში საქმე ის გახლავთ, რომ ჟურნალის გამოშვება საკმაოდ ძვირი ჯდება, თითო ეგზემპლარის თვითღირებულება 20-25 ლარს აჭარბებს, ხოლო იმ რაღაც რეგულაციით თურმე არ შეიძლება, რომ რაიმე პროდუქტი თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად გაყიდო. და რომ გაყიდო? თუნდაც 3 ლარად რომ გაყიდო, ბიუჯეტის თუ დამფინანსებლის ფული ხომ ნაკლები დაიხარჯება? არადა, თვითღირებულებით რომ დაადო ფასი, ვინ იყიდის რაგინდ საუკეთესო ჟურნალს თუნდაც 25 ლარად და ერთ თეთრად?! ამგვარი ფინანსური რეგულაციებისა და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკისა იქნებ ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ჩინელებმა აგერ, კორონავირუსი დაამარცხეს და დაბეჭდილი ჟურნალის გაყიდვა-არგაყიდვაში რა არის ასეთი უსაშველო, მართლა არ მესმის! ეს კიდევ არაფერი — მართლა წვრილმანია! ვინ იცის, კიდევ რამდენი საქმე გვექნება პოსტვირუსულ საქართველოში! ალბათ უფრო მეტი, ვიდრე პოსტრუსულ საქართველოში გვქონდა და გვაქვს! საერთოდაც, დარწმუნებული ვარ, ეს პანდემია ძალიან შეცვლის მსოფლიოს და ძალიან შეცვლის ზოგადად ადამიანს.

ხოლო დღეს დილას ჩემი ცივი ტონი და მკაცრი გადაწყვეტილება ორად ორმა სიტყვამ შეცვალა:

ზეინაბ სარია!

კარი იმწუთში გავაღე, აბა არ გავაღებდი?! ის კი არა, შემოვიპატიჟე კიდეც, მაგრამ არაო, არ ჰქნა. ჟურნალები მოგიტანეთო. მართალია, სრულად ვერა, მაგრამ თბილისში ყველა ნომერი არ აღმომაჩნდაო, დანარჩენს მერე მოგაწვდითო.

შეკვრა შორიდან გამომიწოდა და გამომემშვიდობა, თან დააყოლა, პარკები გადაყარეთ და ხელები დაიბანეთო!

ჟურნალის ექვსი ნომერი ცელოფანის პარკში მოეთავსებინა და მერე ეს პარკიც მეორე პარკში ჩაედო იმგვარად, რომ ცელოფანი ადვილად მომეშორებინა.

ნობათისთვის კოხტა კალიგრაფიით დაწერილი პატარა ბარათიც დაერთო:

„ბატონო პაატა, მოგესალმებით, ზუგდიდიდან წამოსვლამდე ვერ მომისწრო თქვენმა შეტყობინებამ, რომელიც მისამართს მეტყოდა, მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვნახე. ამან განაპირობა ის, რომ შევახვიე მხოლოდ ის ნომრები, რომლებიც აქ მქონდა, ბინაში. აღმოჩნდა, რომ აქ ექვსი ნომერი მქონია. შემიძლია ელექტრონულად გამოგიგზავნოთ პირველი, მეორე და მეოთხე ნომრები. ძალიან მინდა, რომ თქვენ ყველა ნომერს იცნობდეთ. ნომრებს კარებთან გიტოვებთ. ამ კორონასაში შროების დროს არც თქვენ ჩაგაგდებთ უხერხულ სიტუაციაში და არც მე აღმოვჩნდები (ვგულისხმობ შეპატიჟება-მასპინძლობის ტრადიციას). მეტი თავდაჯერებულობის მიზნით, მოაცილეთ ცელოფანი, დაიბანეთ ხელი საპნით ორჯერ და შეგიძლიათ უშიშრად გადაშალოთ ნომრები. ზეინაბ სარია. 20/III.2020 წ.“

მე ამ ბინაში ახალი გადმოსული ვარ, კარზე ჯერ წარწერა არ გაგვიკეთებია და, როგორც ჩანს, ქალბატონმა ზეინაბმა, თუმცა თავდაპირველად ნობათის კარებთან დატოვებას აპირებდა, ზარის დარეკვა სწორედ მისამართის სისწორეში დასარწმუნებლად გადაწყვიტა. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა!

მისმა ამ ზარმა, მისმა გულისხმიერებამ და მისმა ნობათმა ოთარ ჭილაძე დროებით გვერდზე გადამადებინა, ჟურნალი უშიშრად გადავშალე და დილიდან აგერ უკვე საღამომდე „ებგურს“ ვუზივარ.

კარგი ჟურნალია. ოღონდ მართლა! სახელიც რა მაგარი ჰქვია — თან რომ ენგურს ჰგავს და თან რომ საბასეულია — მაღლით მხედველი, მოდარაჯე. თუ ხელში ჩაგივარდათ „ებგური“, წაუკითხავი არ გაუშვათ!

მე კი მოულოდნელობის გამო მადლიერებაც ვერ გამოვხატე ჯეროვნად. ახლა კიდევ ერთხელ ვიხდი გულწრფელ მადლობას. საჯაროდ.

110 ლაიქი, 25 კომენტარი, 5 გაზიარება

Elene Bilikhodze: ამეტირა და მადლობა ამ ემოციისთვის....

Murad Mtvarelidze: ასეთი გულიანი ადამიანია ქ-ნი ზეინაბი და თანაც ისიც კარგად გაუაზრებია, ვინ იქნებოდა ამ მართლაც კარგი ჟურნალის შემფასებელი.

Manana Dumbadze: სამყარო სავსეა კეთილი ადამიანებით და ეს არის დიდი ბედნიერება!

Batu Danelia: მადლობა პაატა! ზეინაბი ძვირფასი ადამიანია და ძვირფას „ებგურს“ სცემს — დიდ საქმეს აკეთებს.

ზეინაბ სარია: ბატონ პაატა ნაცვლიშვილს, ცნობილ ჟურნალისტს, ჯერ კიდევ სტუდენტობიდანვე შორიდან ვიცნობდი (შორიდან იმიტომ, რომ მე სოხუმში ვსწავლობდი, ის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ჩემზე მხოლოდ ორიოდე წლით არის უფროსი, გახლავთ საინტერესო მწერალი და როდესაც ასეთი ადამიანი გამოთქვამს სურვილს, გაეცნოს შენს ახალდაარსებულ ჟურნალს, ამაზე სასიხარულო სხვა რა უნდა იყოს?.. თან ასეთი სურვილი გამოითქმის კორონავირუსის გაქანებული შემოტევის დროს. ასი წლისა რომ მოვიყარო და სკლეროზის მსხვერპლიც გავხდე, არაფრით არ დამავიწყდება ბატონი პაატა ნაცვლიშვილი, რომელმაც ასეთი ვერაგი ვირუსის ჩვენს სინამდვილეში შემოთარეშების დროს გამოთქვა სურვილი, გაცნობოდა ჟურნალ „ებგურს“.

ზეინაბ სარია: პროფესიული ინტერესი ყოველგვარ ვირუსზე ძლიერია.

ზეინაბ სარია: „ებგურის“ მკითხველებმა ჩემთან ერთად უნდა დაიმახსოვრონ ხათუნა გოგია. ჩვენ თანამოაზრეები ვართ, ერთად ვმუშაობთ ამ ჟურნალზე.

Khatuna Gogia: ბატონო პაატა, მადლობას გიხდით მეც!

Neli Gigolaeva: მიმაქვს. ამ ჟურნალის გარდა ერთ საყურადღებო საკითხზეა საუბარი — უშოვნელ მცირეტირაჟიან ჟურნალებსა და სხვა გამოცემებზე, რომელთა ტირაჟი და გავრცელება შეგნებულად ბრკოლდება.

II
21 მარტი, 16:10-ზე.

ახლა ვხვდები, რატომ უნდებოდა დედაჩემი იმდენ ხანს ხელების დაბანას! სკოლის შემდეგ, სანამ უნივერსიტეტში ჩააბარებდა, საფერშლო კურსები დაუმთავრებია და ერთხანს ჰოსპიტალშიც უმუშავია ექთნად. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ქვეყანას ფილოლოგებზე მეტად ექთნები სჭირდებოდა. ეს ჩვევაც ალბათ იმ დროიდან გამოჰყვა. უნდა გენახათ, რა გულმოდგინედ იბანდა ხელებს, დიდხანს და სწორად, ზუსტად ისე, როგორც არნოლდ შვარცენეგერი გვიბეჯითებს

ტელეეკრანიდან ან იგნაც სემელვაისი გუგლის ბოლო ოპენინგიდან. მე კი, სააბაზანოში რომ შეყოვნდებოდა და ონკანს დიდხანს არ დაკეტავდა, მეგონა, სიზმარს უყვებოდა წყალს. ალბათ სიზმარსაც უყვებოდა, მაგრამ უფრო ხშირად მაინც, რა თქმა უნდა, ხელებს იბანდა. სწორად და დიდხანს.

სწორად, დიდხანს და ხშირად იბანეთ ხელები და დარჩით სახლში! ჯანმრთელობას გისურვებთ! პოეზიისა და ქართული ჟურნალისტიკის დღესაც გილოცავთ ბარემ!

239 ლაიქი, 64 კომენტარი, 4 გაზიარება

Manana Dumbadze: მამიდაჩემიც ექიმი იყო და მაგის ხელის ბანის ცერემონია ახლაც თვალწინ მიდგას.

Paata Natsvlishvili Manana Dumbadze-ს: 70-იანი წლების ბოლოს სწორედ მამიდაშენთან დაგვყავდა ნაინფარქტალი მამაჩემი პოლიკლინიკაში, ანაგის ქუჩაზე. ძალიან მაგარი ექიმი და ძალიან სათნო ქალი იყო.

Alexandre Shengelia: ღმერთმა შენც დაგილოცოს ჟურნალისტის, მეცნიერის და პოეტის სასიქადულო გზა, ჩვენო პაატა!

Nunuka Grdzelishvili: გილოცავ, პაატა, მალე მომელოცოს ვირუსის დამარცხებაც. ხელები კი მაინც უნდა დავიბანოთ, ხომ?

Rusudan Grigolia: გილოცავ პაატა! მიხარია რომ FB-ზე დაიწყე წერა. ეხლა შენი ბლოგი გააკეთე Online. დარწმუნებული ვარ, უამრავი მაყურებელი გეყოლება! Please. ვეღოდებით პაატა ნაცვლიშვილის ბლოგს!!! რამდენი გაქვს მოსაყოლი, მთელ მსოფლიოზე, თავისი ფილმებით და ისტორიებით. რა მაგარი იქნება!

Vasil Beselia: ბარემ შენც მოგილოცავ, პაატა, პოეზიისა და ჟურნალისტიკის დღეს! (თუმცა, შენი უგზო-უკვლო გაქანება რომ ვიცი, თუ რამე სასიკეთო დღეა, ყველაფრის მილოცვა გეკუთვნის!) ახლა იჯექი სახლში და იყავი მაგრად!

Paata Natsvlishvili Vasil Beselia-ს: ხოლო შენ იყავი სახლში და იჯექი მაგრად!

თამარ ამილახვარი: გილოცავ, მაესტრო!

Gvantsa Samkharadze: ჩემს მუდმივ ლექტორს ვულოცავ ამ დღეს!

Tengiz Gachechiladze: პაატა გილოცავ! როგორც ჩვენი ძმა ბონდო ქურდაძე ამბობს: „ჟურნალისტს, დოქტორს, თანამედროვე ქართული გაზეთის არქიტექტორს, ნოვატორს და დაუღალავი მოგზაურს“. და კიდევ, თანამედროვეობის გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს.

თამარ თათარაშვილი: თუ არ გემცხეთება, მცხეთიდანაც მოგილოცავ — ბარემ! — წარმატებები შენს ყველა გეზსა და მიმართულებას!..

Roza Berikashvili: პაატა საუკეთესო ხარ, დედაც ექთანი იყო და გამახსენე მისი ეს ჩვევა... გენაცვალე, ჩემო უნიჭიერესო და უსაყვარლესო ძმაო! გილოცავ ჟურნალისტის დღეს!

Sandro Iberieli: Gamarcobat batono Paata, rogor brzandebit? Mokitkhva Stokholmidan.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გოქსელ გენჩი თურქი ოსტაპ ბენდერი? (5)

წინა წერილში (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14.07.2020 №87) კვლავ მომიწია, ახალი კითხვებით მიმემართა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორისთვის **გიორგი შენგელიასთვის**, რადგან მისი პასუხები (გამოქვეყნებულია მეოთხე წერილში) თავისი არადამაჯერებლობით, არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩემს კითხვაზე: „მგფ“-მა თუ გადაამოწმა და დაადგინა ყალბი საბუთის წარმოდგენა ტენდერში, და თუ დაადგინა, მიმართა თუ არა სამართალდამცავ ორგანოებს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო, და რა ფორმით-მეთქი; ბატონი შენგელია მიპასუხებს: ...მოცემულ ტენდერში (2016 წლის 03 თებერვალი. ᲐᲕᲗ.) მონაწილე პირის (გოქსელ გენჩი. ᲐᲕᲗ.) დისკვალიფიკაცია მოხდა ტენდერის შეფასების საწყის ეტაპზეო; ანუ გავაძევეთ, ეს ვიკმარეთ, არ ჩავეძიეთო, მოკლედ, ეს ჩვენი საქმე არ იყოო. ამით ბატონმა გიორგიმ სცადა, თავისი წინამორბედის, სულ ცოტა, სამსახურებრივი გულგრილობა დაეფარა. არადა, კანონის მიხედვით, „მგფ“-ის 2016 წლის ფაქტობრივი მმართველი ჯუანშერ ბურჭულაძე ვალდებული იყო, მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რადგან აშკარა იყო, რომ კომპანია **„ᲒᲔᲜᲩ ᲘᲜᲨᲐᲐᲗᲘ“**-ს მფლობელმა **ᲒᲝᲥᲡᲔᲚ ᲒᲔᲜᲩᲛᲐ** სატენდერო კომისიისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში არაერთი ყალბი საბუთი „შეაპარა“, მაგალითად, არაუფლებამოსილი ქვეყნის (ერაყის) არარსებული ბანკის **„ᲩᲔᲥᲘᲜ ᲖᲣ“**-ს საგარანტიო წერილი. ეს ბანკი რომ სიყალბეა, დაგვიდასტურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილში (№01/ 18533), დათარიღებულ 2020 წლის 15 ივლისით, რისთვისაც პირადად მადლობას ვუხდი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყებას, არამედ ერაყის კონსულსაც საქართველოში.

კარგით, ბატონო, დავუჯეროთ „მგფ“-ის ახლანდელ ხელმძღვანელს, რომ საწყის ეტაპზე დისკვალიფიცირებულ „გენჩ ინშაათს“ ბოლომდე „სულში არ ჩაუძვრნენ“ და სამშვიდობოზე გაუშვეს. მაგრამ, სადაა სახელმწიფოებრივი აზროვნება? ასეთ თაღლითურ, თანაც უცხოურ ე.წ. კომპანიებზე არათუ სახელმწიფო მოხელე, უბრალო მოქალაქეც კი, რომელსაც აქვს მოქალაქეობრივი თვითშეგნება ვალდებულია, ინფორმაცია მიაწვდინოს სახელმწიფო უშიშროებას. ბატონმა ბურჭულაძემ „არ“ ან „ვერ“ გამოიჩინა სიფხიზლე, პირიქით, აჭყვა საეჭვო რეპუტაციის მქონე გოქსელ გენჩის ნამბობს და 2017 წლის 05 იანვარს საჩივრით მიმართა მაშინ მთავარ, ახლა კი გენერალურ პროკურატურას... აქ შემომყავს ჩემი ჟურნალისტური გამოძიების ახალი მოქმედი პირი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანი **ნოდარ ჯავახიშვილი**. მკითხველს გავუმხელ, რომ ბატონი ბურჭულაძე ბატონი ნოდარის კადრია, რაც თავად ჯუანშერ ბურჭულაძემ დაადასტურა ირაკლი კერესელიძის სასამართლო სხდომაზე. როცა მან კერესელიძის ადვოკატის კითხვაზე: ვინ დაგნიშნათ მაგ თანამდებობაზეო, გასცა პასუხი: ნოდარ ჯავახიშვილმაო. შეგახსენებთ, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი ერთ-ერთი მაღალი პასუხისმგებლობის რგოლია საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სამინისტროსი. იმ დროს კი (2016-ში), ამ სამინისტროს თავკაცობდა ნოდარ ჯავახიშვილი. თავის მხრივ, ბატონი ნოდარი ხელმძღვანელის იმ ტიპს განეკუთვნება, რომლის „სამფლობელოში“ მისი ბრძანების გაუცემლად „ხეზე ფოთლებიც არ შრიალებენ“... ამიტომ, უბრალოდ, შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ბატონმა ჯუანშერ ბურჭულაძემ 2017 წლის 05 იანვარს მთავარ პროკურატურას მიმართა ნოდარ ჯავახიშვილისგან უნებართვოდ; სავსებით დასაშვებია, მისი(ჯავახიშვილის) მითითებით... რა მიზნით? არ ვიცი. დანამდვილებით ვიცი, რომ უწინ, დიდი ხნის წინ ბატონები ჯავახიშვილი და კერესელიძე საპყრობილეში ერთ საკანს იყოფდნენ. თუმცა, თუ ბატონ ნოდარს ექნება დრო და სურვილი, ნათელი მოჰფინოს ამ ჩახლართულ ისტორიას, მზად ვარ, ჩავწერო მასთან ვრცელი ინტერვიუ.



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

საქართველო

18533-01-2-202007151421

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/18533
15/07/2020

მოქალაქე ქეთევან ხოშტარიას
მის: ქ. თბილისი, ვედმენილის 2/10, კორპ. 8, ბ. 18
მობ: 592 535 303

ქალბატონო ქეთევან,

თქვენი, მიმდინარე წლის 29 ივნისის N19928/01 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ბანკი სახელწოდებით „ჩექინ ზუ“-ს ერაყის რესპუბლიკაში რეგისტრაციის/ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მივმართეთ, როგორ იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საქართველოს საელჩის, ასევე, ქ. თბილისში ერაყის რესპუბლიკის საელჩოს.

ქ. თბილისში ერაყის რესპუბლიკის საელჩოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ერაყის რესპუბლიკაში მოქმედი ბანკების სიაში, არ არიცხება ბანკი სახელწოდებით „ჩექინ ზუ“ . ასევე, შეგიძლიათ აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება, ერაყში რეგისტრირებული ბანკების ვებ-გვერდზე: https: //www.cbi.iq

პატივისცემით,
კონსტანტინე სახიშვილი

procurement.gov.ge Done

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის
განკარგულება

KA080122.194573129

№ 4162 16 / ოქტომბერი / 2019 წ.

უცხოური საწარმოს ფილიალი „გენჩ ინშაათ-ის საქართველოს ფილიალის“ მაგისაბი დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“;

ტენდერის ნომერი: NAT190011770;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მშენებლობა ან ნაწილობრივი საშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

პრეტენდენტი: უცხოური საწარმოს ფილიალი „გენჩ ინშაათ-ის საქართველოს ფილიალი“ (სს: 406025340);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ნაფუძველი.

აღნერილობითი ნაწილი

1. აღმასრულებელი ნარმომადგენლის დანესება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 აგვისტის ნარმოდგენილი იქნა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 2019 წლის 12 აგვისტის №LE120819/13-07 წერილობითი მეტყობინება (რეგისტრაციის № 8717), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT190011770 ელექტრონული ტენდერიდან უცხოური სანარმოს ფილიალის „გენჩ ინშაათ-ის საქართველოს ფილიალი“ (სს: 406025340) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ნაფუძლის გამო.

1.2. პრეტენდენტს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე gomzaeva@gmail.com, 2019 წლის 16 აგვისტის № 3243 წერილებით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მეტყობინების ნარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „ბაჯი სიის ნარმოების წესისა და კრიტერიუმების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა მსეტყველ სამნერტს გამნარტების ნარმოდგენა.

1.3. უცხოური საწარმოს ფილიალმა „გენჩ ინშაათ-ის საქართველოს ფილიალი“ 2019 წლის 19 აგვისტის, ასევე 2 და 5 სექტემბერს სააგენტოში ნარმოდგენილ 2019 წლის 19 აგვისტის, ასევე 2 და 5 სექტემბრის №Geo01-042, №Geo01-061 და №Geo01-072 განმარტებები (რეგისტრაციის №8945, №9393 და №9551).

1.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 10 სექტემბერს სააგენტოს 2019 წლის 6 სექტემბრის № 3485 წერილის პასუხად, ნარმოადგინა 2019 წლის 9 სექტემბრის № LE090919/13-05 დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 9753) პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ნაფუძლის თაობაზე

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

ვარ ფიქრობ, დროა, დავუბრუნდეთ და ვისაუბროთ სახელმწიფო აზროვნების ქონის აუცილებლობაზე. როგორც უკვე დავადგინეთ, 2016 წლის 30 დეკემბერს „არ“ ან „ვერ“ გამოავლინა ეს ყველგან და ყოველთვის უაღრესად საჭირო და მეტად სასარგებლო თვისება... მადლობა ღმერთს, თურმე გვყოლია სახელმწიფოდ მოაზროვნე მოხელეებიც! საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ისევე როგორც „მგფ“-ი საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი პასუხისმგებლობის რგოლია. მაგრამ, „მგფ“-სგან განსხვავებით, იქ პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ მოვალეობებს. ჩვენმა საგამოძიებო ჯგუფის წევრმა მიმართა კითხვებით ამ დეპარტამენტს და პასუხად მივიღეთ წერილი, რომელშიც გვატყობინებენ, რომ კომპანია „გენჩ ინშაათ“-ი 4 (ოთხ) ტენდერში არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო, დისკვალიფიცირებულ იქნა. თუმცა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ესეც არ აკმარა ბატონ გოქსელ გენჩის „რქებს და ჩლიქებს“, ბოდიში, „გენჩ ინშაათ“-ს. დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ირაკლი ქარსელაძემ** მიმართა (2-08/10970) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და გააცნო ამ უკანასკნელს თურქული კომპანიის დისკვალიფიკაციის მიზეზები. თავის მხრივ, საქმის შესწავლის შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვის სააგენტომ (თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**) კომპანია „გენჩ ინშაათი“ 2019 წელს (განკარგულება № 4349) ჩასვა ე.წ. შავ სიაში. საავტომობილო გზების დეპარტამენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რეაგირებისთვის მან მიმართა (№2-08/11341) სახელმწიფო უშიშროების ანტიკორუფციულ დეპარტამენტს და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს (№2-08/12045). ორივე მიმართვას ხელს აწერს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე თედორაძე**. დიახაც, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა აღმოაჩინა ის, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ 2018 წლის ნოემბერში, კერძოდ, ვაუწყეთ საზოგადოებას გოქსელ გენჩის თაღლითურ ქმედებებზე და ბუნებაში არარსებულ ერაყულ ბანკ „ჩექინ ზუ“-ზე.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან გამომდინარე მოვითხოვთ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს გოქსელ გენჩის, სავარაუდოდ, დანაშაულებრივი საქმიანობა საქართველოში და მისცეს მას სამართლებრივი შეფასება. აგრეთვე, გენერალური პროკურატურის გენინსპექციისგან მოვითხოვთ, დაიწყოს პროკურორო **სალომე ჩიქობავას** გამოკითხვა, რადგან ირაკლი კერესელიძის სასამართლო პროცესზე ქალბატონი სალომე აშკარად გულშემატკივრობდა გოქსელ გენჩს და უპასუხისმგებლო განცხადებებით - ნახევარი თურქეთი ააშენაო - არა მხოლოდ შეჰყავდა სასამართლო შეცდომაში, გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც ახდენდა მასზე.

ჩვენი საგამოძიებო ჯგუფი აუცილებლად მოახდენს მონიტორინგს „სუს“-ის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამოძახილზე ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების სამინისტროს (მინისტრი **მაია ცქიტიშვილი**) მიერ, მათთვის მიწოდებული მიმართვების თაობაზე.

ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება.

გიორგი კორძაძე

P.S. სულ ახლახან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ საერთაშორისო (სავარაუდო) თაღლითმა - გოქსელ გენჩმა და მისმა „რქებმა და ჩლიქებმა“ („გენჩ ინშაათმა“) მიიღო მონაწილეობა „საქართველოს ნავთობის და კორპორაციის“ მიერ 2019 წლის 14 ივლისს გამოცხადებულ ტენდერში და NAT190011770 და 2019 წლის 18 ივლისს ...მასში გაიმარჯვა!.... მაგრამ ხელშეკრულების დადებამდე ცნობილი გახდა საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართვა სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოსადმი და გოქსელ გენჩის გამარჯვება გაუქმდა. ერთი საყურადღებო დეტალი — „ნავთობის და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია **ომარ ქუცნაშვილი**, რომელსაც, შესაძლოა, „გენჩ ინშაათ“-თან და მის მეპატრონესთან სხვადასხვა საქმიანი მიზანი გააჩნია. შეგახსენებთ, რომ ბატონი ომარი პარლამენტის ყოფილი წევრის **ზაქარია ქუცნაშვილის**, არც მეტი და არც ნაკლები, მამაა. ბატონ ომარს სამშენებლო სფეროში არაერთი ტენდერი აქვს მოგებული. დასკვნები მკითხველისთვის მიგვინდვია.

გ. კ.

სამხედრო სწავლება „სი ბრიზ 2020“ შავ ზღვაში

შავ ზღვაში სამხედრო სწავლება „სი ბრიზ 2020? დაიწყო, რომელშიც ქართველი სამხედროებიც მონაწილეობენ. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის საზღვაო სამხედრო ძალების წარმომადგენლები ავრცელებენ.

მანევრები ოდესის სიახლოვეს გუშინ დაიწყო.

19 ივლისს კი, შავ ზღვაში ამერიკელი სამხედრო ხომალდი USS Porter შევიდა.

როგორც აშშ-ის საზღვაო სამხედრო ძალების მეექვსე ფლოტის წარმომადგენლები აცხადებენ, წვრთნების მიზანი რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაა.

„ჩვენი მონაწილეობა ისეთ მრავალეროვნულ სწავლებებში, როგორიცაა „სი ბრიზ 2020“ არის რეალური დემონსტრაცია, რომ აშშ ევროპის კოლექტიურ თავდაცვაში ჩართულია“, — განაცხადეს მეექვსე ფლოტში.

საზღვაო მანევრებში ჩაერთვება 27 საბრძოლო ხომალდი, 19 თვითმფრინავი და 2000 სამხედრო მოსამსახურე უკრაინიდან, საქართველოდან და ნატო-ს წევრი შვიდი ქვეყნიდან: აშშ, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, ესპანეთი და ნორვეგია.

© picture-alliance/AP Photo/US Navy/F. Williams

ახმეტის მუნიციპალიტეტში 25 მზის ელექტროსადგური დამონტაჟდა

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებებში 25 მზის ელექტროსადგური დამონტაჟდა, აქედან 12, თუშეთში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას გადაეცა.

მზის ელექტროსადგურის სიმძლავრე 1 500 ვატით განისაზღვრა, რაც საკმარისია ერთდროულად რამდენიმე მოწყობილობის, სახლის განათების, ტელევიზორის, მაცივრისა და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჩასართავად.



პროექტი განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ენერგეტიკის პროგრამა (USAID/Energy Program) ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

ᲙᲠᲔᲛᲚᲛᲐ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲐᲜᲝᲜᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲗᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐ



„ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ მე სტალინის სამუშაო კაბინეტში შევედი, ის მარტო იყო. მისალმების შემდეგ, მან გამომიწოდა რაღაც ქაღალდი და თქვა: აი, წერილი რუზველტისგან. ახლა მივიღე. მინდა, რომ ზეპირად მითარგმნოთ, სხდომამდე რომ ვიცოდე მისი შინაარსი. მე, პირდაპირ ვუთარგმნე. ვიდრე ვთარგმნიდი, სტალინი მთხოვდა ნათარგმნი სიტყვების გამეორებას.

წერილი ეხებოდა კურილიის კუნძულებსა და სახალინს. რუზველტი ატყობინებდა სტალინს აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერას საბჭოთა კავშირის უფლების თაობაზე იაპონიის მიერ ოკუპირებულ სახალინის ნახევარსა და კურილიის კუნძულებზე.

კარგია, ძალიან კარგია, თქვა სტალინმა. მე კი აღვნიშნე — ამჟამად დაკავებული პოზიციით, აშშ ცდილობს, ჩვენს თვალში მოახდინოს რეაბილიტაცია 1905 წელს პორტსმუტში, იაპონელთა სასარგებლოდ მიღებული პოზიციის გამო. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებით, იაპონიამ „წაართვა“ რუსეთს ეს ტერიტორიები. სტალინი მთლიანად იზიარებდა სიტყვა „რეაბილიტაციას“.

რუზველტის წერილამდე, თეირანის კონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა სტალინს სთხოვა დახმარება იაპონიის წინააღმდეგ ომში. ჩანდა, რომ მოკავშირეების მიერ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას ისინი უკავშირებდნენ საბჭოთა კავშირის ჩართვას იაპონიის წინააღმდეგ ომში. ურთიერთობა ამ თემაზე შედგა, თუმცა შეთანხმება მაშინ არ მომხდარა.

საბოლოო სიტყვა ითქვა იალტაში, როდესაც რუზველტმა ამ წერილით ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დაუბრუნდეს საბჭოთა კავშირს.

იალტის კონფერენციის ერთ-ერთ სხდომაზე მიაღწიეს შეთანხმებას იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრკ-ს ჩართვის თაობაზე. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ევროპაში ომის დამთავრებიდან 2-3 თვეში წითელი არმია დაიწყებდა ომს იაპონიის წინააღმდეგ“.

ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲘ ᲡᲡᲠᲙ-ᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ⲁ.ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ მოგონებების მკითხველისთვის შეხსენება ორ მნიშვნელოვან თემას უკავშირდება — სტალინის წინააღმდეგ ცრუ, ბოროტი ინფორმაციების გავრცელებას და რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციაში (ელცინის) კარდინალური ცვლილებების შეტანას, რაც საყოველთაო რეფერენდუმზე ა.წ. ივნისის დასაწყისში დადასტურდა.

ცვლილებები ძალაში 4 ივნისს შევიდა. ამჟამად კი მიმდინარეობს საკონსტიტუციო კომისიისა და რუსეთის დუმის მუშაობა კონსტიტუციის შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებაზე.

დუმის განცხადებით, კონსტიტუციის ახალი რედაქცია მოითხოვს 100-ზე მეტი კანონის მიღებას. პირველი ნაბიჯები გადაიდგა. დუმამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი ტერიტორიული მთლიანობის ურყეობასთან დაკავშირებით. მისი მიხედვით, მსუყე წერტილი ისმება რუსეთის ტერიტორიებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებისას. ანუ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება კურილიის კუნძულების იაპონიისთვის დაბრუნების შესახებ, ისტორიას ბარდება.

კანონპროექტის თანახმად, რუსეთის ხელისუფალი, რომელიც რუსეთის ტერიტორიას სხვა ქვეყანას გადასცემს, დაისჯება ათწლიანი ციხით.

* * *

ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ არანაკლები მკაცრი **მიდგომაა (ციხეში ჩასმა) იმათ მიმართ, ვინც პროპაგანდას აწარმოებს ტერიტორიების გასხვისებასთან დაკავშირებით. ეს ეხება არა მარტო რუსეთის მოქალაქეებს, არამედ უცხოელებსაც. საკმარისია, ასეთი უცხოელი პროპაგანდისტი აღმოჩნდეს რუსეთის ტერიტორიაზე, მას უმალ დააკავებენ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ.**

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება დაიღალა რუსი ლიბერალების, ავანტიურისტი უცხოელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების დაუსაბუთებელი, ცრუ განცხადებებით რუსეთის ტერიტორიების უცხო სახელმწიფოებისთვის დაბრუნების თაობაზე, რასაც კონსტიტუციით დაუსვა წერტილი.

სტალინის მიერ ბრძოლით მოპოვებული ტერიტორიები ხრუშჩოვმა — „კეთილი ნებით“ სხვას გადასცა. მაგალითად უკრაინას ყირიმი — სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე; იაპონიას, კურილიის კუნძულებიდან — კუნაშირი და იტურუპი. ამ შემთხვევაში უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილების რატიფიკაციაც მოახდინა, მაგრამ თვით ხრუშჩოვმა საკუთარი „კეთილი ნება“ უკან წაიღო.

მას შემდეგ იაპონიას ამ საკითხებზე მსჯელობისთვის თვეც არ ჩაუგდია. თითქოს, პუტინის ხელისუფლება მზად იყო ხრუშჩოვის დანაპირების შესასრულებლად, მაგრამ იაპონია არ დათანხმდა ხუთიდან ორ კუნძულს — ყველა მოითხოვა. ორიც დაკარგა ახალი კონსტიტუციით და კუნძულების დაბრუნებასთან დაკავშირებით განუწყვეტელი პროპაგანდით თავს უხერხულობაში ჩაიგდებს.

კურილიის კუნძულების იაპონიისთვის დაბრუნების თაობაზე აშშ-ის დღევანდელი პოლიტიკა ძირფესვიანად განსხვავებულია იმისგან, რასაც 1943 წელს, იალტაში ჰქონდა ადგილი. მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თვით პრეზიდენტი რუზველტი იყო ამის ინიციატორი.

რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, სსრკ-აშშ-ის ურთიერთობა დაიძაბა და ნელ-ნელა დაპირისპირების ფაზაში გადავიდა. საბჭოთა კავშირმა იალტაში აღებული ვალდებულება პირნათლად შეასრულა და ევროპაში ომის დამთავრებიდან სამ თვეში იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაერთო.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, მოგვიანებით იაპონიის ხელისუფლებამ მოითხოვა კურილიის კუნძულების დაბრუნება, რაც საბჭოთა ლიდერებისთვის, განსაკუთრებით ხრუშჩოვისთვის, არცთუ საჩოთირო საქმე აღმოჩნდა. იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების წასახალისებლად ხრუშჩოვმა ხუთიდან 2 კუნძულის დაბრუნებაზე გამოთქვა მზადყოფნა. თითქოს, იაპონიის ხელისუფლებაც მზად იყო მხოლოდ ორი კუნძულის დაბრუნებისთვის, მაგრამ საქმეში აშშ ჩაერთო, რომელმაც აიძულა იაპონია, ხელი აეღო სანახევრო შეთანხმებიდან.

პუტინის რუსეთის პრეზიდენტად არჩევისთანავე იაპონიის ხელისუფლებას ძალ-ღონე არ დაუშურებია საკითხის გააქტიურებისა და მისთვის სასარგებლოდ დასრულებისთვის. რუსეთის შეფერხებას ხელს უწყობდა აშშ-იაპონიის მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა და იაპონიის ხელისუფლების მოვალეობა, რომ თანხმობა განეცხადებინა ამერიკისთვის იაპონიის ნებისმიერ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის გახსნაზე. სავარაუდოდ პუტინიც დათანხმდებოდა ორი კუნძულის იაპონიისთვის დაბრუნებას, რომ არა იაპონიის ვალდებულება აშშ-ის წინაშე.

იაპონიამ დაკარგა დრო, რითაც წერტილი დაუსვა კუნძულების, თუნდაც ორის დაბრუნებას. მოწოდებები კოლექტიური დასავლეთის მხრიდან, რომლებიც იაპონიის სასარგებლოდ ღაღადებენ, ვერ შეცვლიან კრემლის პოზიციას. ამჯერად კრემლს კონსტიტუცია უმაგრებს ზურგს.

ქართველი ექსპერტები, აშშ-ის პროპაგანდას აყოლილები, ასევე მოითხოვდნენ კუნძულების იაპონიისთვის დაბრუნებას. რომ იტყვიან, სად საქართველო და სად იაპონია, მაგრამ როდესაც ვაშინგტონი გიბრძანებს — იაპონია კარის მეზობელია.

ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს საკუთარი საკამათო საზღვრების დადგენაზე ეფიქრა, იაპონიაზე ფიქრობდა, არადა მეზობელ ქვეყნებთან შექმნილი საზღვრის დამდგენი კომისიების მუშაობა რომ ზერელედ, ზედაპირულად არ წარმართულიყო, 1995 წლის შემდეგ პერიოდში შესაძლებელი იქნებოდა აზერბაიჯანთან და სომხეთთან საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაცია. ქვეყნის საგარეო უწყება ამ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხს არასერიოზულად უდგებოდა, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რასაც დღეს აქვს ადგილი.

სასაზღვრო პრობლემები, რომლებიც რუსეთთანაც გვქონდა, ახალი კონსტიტუციით ისტორიამ შთანთქა.

დიპლომატიაში, ისე, როგორც პოლიტიკაში არის საკითხები, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვენ. მათ შორისაა სასაზღვრო საკითხები. აქ, დროის გაჭიმვა არ წაადგება ქვეყანას.

რუსეთმა, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა ლიბერალურ იდეოლოგიას, დაინახა, რომ ამ იდეოლოგიის წყალობით ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას წყალი შეუდგა და სწრაფი რეაგირება მოახდინა — კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის სახით.

დასავლეთისა და რუსეთის მედიაში გაჩნდა მოსაზრებები, წერილები, თემატური გადაცემები ტერიტორიების გასხვისებასთან დაკავშირებით. გაჩნდა წერილები, დაფუძნებული რუსეთისთვის საჩოთირო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც სსრკ-ის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის გორბაჩოვის სახელს უკავშირდება — კარელიის, კალინინგრადის, კურილიის კუნძულების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

„რა მოხდა, ამით სახელმწიფო არ გაღარიბდება“ — დევიზი, რომელიც პუბლიკაციების ავტორთა მიერ ჟღერდება, ფართოდ იყო მხარდაჭერილი გორბაჩოვისა და ელცინის ადმინისტრაციაში.

სულ ახლახან, ფინელმა დიპლომატმა და მკვლევარმა, რომელიც გორბაჩოვის დროს აქტიურ დიპლომატიაში იყო ჩართული, გამოსცა წიგნი, სადაც თეთრზე შავით ჩაწერა, რომ მოსკოვი ძალიან აქტიურად მუშაობდა ჰელსინკთან კარელიის დაბრუნების თაობაზე. ავტორი იუკა სეპინენი, იმასაც წერს, რომ კარელიის გარდა კრემლი ფინეთს ვიბორგის დაბრუნებასაც სთავაზობდა. ამ თემაზე, ერთი წლის წინათ ფინური „ჰელსინგინ სანომატ“-იც (Helsingin Sanomat) წერდა. ის კონკრეტულ თანხასაც აქვეყნებდა — 15 მილიარდ დოლარს ამ „დაბრუნებაში“.

ყოფილი პრეზიდენტის პასუხი არის — „არაფერი ვიცი, პირველად მესმისო“.

არანაკლები ხმაური გამოიწვია გერმანულ „შპიგელში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელიც ეხება გერმანიისთვის კალინინგრადის დაბრუნებას. სტატიის მიხედვით, მოსკოვში გერმანიის საელჩოს პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელს იოჰიმ ფონ არნიმსა და გენერალ გელი ბატანინს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. კრემლი შესაბამის თანხებს ითხოვდა აღნიშნულის გასაკეთებლად.

1988 წელს, მოსკოვში ვიზიტით მყოფმა აშშ-ის პრეზიდენტმა მოსთხოვა მოსკოვს კურილიის კუნძულების საკითხის მოგვარება — იაპონიის სასარგებლოდ. 1990 წელს ანატოლი ჩერნიაევმა, საერთაშორისო საკითხებში სსრკ გენერალური მდივნის თანაშემწემ იაპონიის ელჩს განუცხადა, რომ „გორბაჩოვს გულით სურს კუნძულების დაბრუნება“. მოლაპარაკებების დროს ფულიც ფიგურირებდა — 28 მილიარდი დოლარი.

დაბრუნებასთან დაკავშირებით საყურადღებოა სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის განცხადებაც: „გვინდოდა კურილების იაპონიისთვის გადაცემა“.

„გადაცემის“ თემა გორბაჩოვისა და მისი მოკავშირეებისთვის უცხო არ იყო. 1990 წელს შევარდნაძე-ბეიკერის შეთანხმებით აშშ-ს გადაეცა 40000 კვ. კილომეტრი ეკონომიკური ზონა და 46000 კვ. კილომეტრი ბერინგის ზღვის შელფი — მდიდარი თევზითა და წიაღისეულით.

დასავლეთი, რომელიც დროდადრო ფარდას ხდის არცთუ შორეულ ისტორიას ახსენებს რუსეთს — რა დამჯერები და კონსტრუქციულები იყვნენ მაშინდელი რუსი პოლიტიკოსები და მოუწოდებენ დღევანდელებს, დაემსგავსონ წინამორბედებს.

„დღევანდელებმა“— შეფარული შიშით გააანალიზეს ვითარება და პერესტროიკის „ლიბერალურ-დემოკრატიული“ ტალღის თავიდან ასაშორებლად, გადადგეს პატრიოტული ნაბიჯი, კონსტიტუციის შეცვლის სახით.

ქართულმა პოლიტიკამ, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, მხოლოდ პუტინის პრეზიდენტობის ვადის გახანგრძლივება დაინახა, მაგრამ ვერ შეამჩნია მთელი რიგი საკითხები, ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას რომ ეხება. ვერ დაინახა ისიც, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ყოველივე ეს ანტისტალინური პროპაგანდის ფონზე მიმდინარეობს. ხალხს არწმუნებენ რომ საბჭოთა პერიოდი იყო აუტანელი. არადა, არც ერთი მეფის, იმპერატორის მმართველობას არ მოუტანია რუსეთისთვის ისეთი წარმატება, როგორიც საბჭოეთმა და სტალინმა მოუტანა.

სტალინის სსრკ გახდა გიგანტი სახელმწიფო არა მარტო ტერიტორიების თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკის და სოციალურ სფეროში მოპოვებული წარმატებების თვალსაზრისითაც. დღევანდელი რუსეთი გაოცებული უყურებს თავისსავე საბჭოურ ისტორიას და სვამს კითხვას — ნუთუ ასეთის შექმნა ადამიანურ ფანტაზიას შეეფერება?

რუსთა დიდი ნაწილის მოსაზრება მკვეთრად განსხვავდება ზოგიერთ მოხელეთა, ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანთა მოსაზრებისგან. ისინი ვეღარ მალავენ საბჭოურ მიღწევებს, მაგრამ აცხადებენ — ყველაფერი ხალხმა შექმნაო, სტალინის სახელის ხსენებას ერიდებიან და თუ ახსენებენ — უარყოფით კონტექსტში...



ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲰᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

მიშველეთ, კეთილო ხალხო, სანამ თავისთვის ცუდი რამ ამიტეხია!

უპირველეს ყოვლისა, თავს გაგაცნობთ, სანამ დახმარებას გთხოვთ:

დავიბადე ქ. თბილისში. დავამთავრე მე-5 საშუალო სკოლა 1969 წ. მამა ადრე გარდამეცვალა და დავრჩით ობლად მე და ჩემი ძმა. გაჭირვებით დაგვზარდა დედამ. წამოვიჩიტე თუ არა, დედამ სამუშაოდ თავისთან წამიყვანა მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში. ვკერავდი ბიჭის სკოლის ფორმებს. 17 წლისა ვასრულებდი 2 ოპერაციას და ვიღებდი 2 მუშის ხელფასს. ვიყავი ყველა საქმეში აქტიური, დავალებებს ერთგულად და ხარისხიანად ვასრულებდი.

1974 წელს გაიხსნა უნივერმაღი „თბილისი“. უნდა დაეკომპლექტებინათ ახალგაზრდებით. ფაბრიკის ხელძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა, გადავსულიყავი უნივერმაღ „თბილისში“. იქ ვიმუშავე 30 წელი. მიღებული მაქვს მრავალი სიგელი, მადლობა და ფულადი ჯილდო. ვიყავი ჯერ საწყობის გამგე, მერე ადმინისტრატორი, შემდეგ — სექციის გამგე. ჩამაბარეს ორი სექცია. ეს ის დრო იყო, როცა აღარ ფუნქციონირებდა არც ბაზა, არც ფაბრიკა-ქარხნები. ჩვენი სექციები ჩვენ თვითონ უნდა მოგვემარაგებინა. ამიტომ რამდენიმე სექციის გამგე მივდიოდით საზღვარგარეთ და მოგვქონდა ჩვენი სექციისთვის საჭირო საქონელი. ყველა წასვლაზე დიდი თანხა იყო საჭირო. ამიტომ ვიღებდი პიროვნებებისგან ფულს პროცენტით. პროცენტსაც და თავსაც ზუსტად ვაბარებდით.

ერთ-ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა, რომელსაც შვილად ვთვლიდი, ისეთი ურთიერთობა გვქონდა, გახსნა სექცია და მთხოვა, მისთვისაც მეშოვნა ფული. მასთან ერთად ვურეკავდი თანხის პატრონებს და ვთხოვდი, მე მინდა-მეთქი, თორემ არ მომცემდნენ. შეგნებულად ჯერ გვარს არ ვასახელებ — იქნებ ეს წერილი წაიკითხოს და ადამიანურად მოიქცეს. თუმცა ეჭვი მეპარება — წლებია, იმალება და არ ჩანს. ნაწილ-ნაწილ ვუშოვე 4400 დოლარი. რამდენიმე თვე იხადა პროცენტი. შემდეგ ხან რა მოიგონა, ხან რა და... მე გადამახდევინა 22000 დოლარამდე (პროცენტების ჩათვლით). ბინა მქონდა ჩადებული კერძო ბანკში. პროცენტი ვეღარ გადავიხადე. გამაყიდვინეს ბინა, ავეჯი, ყველაფერი, რაც გამაჩნდა და გავედი ქირით. ვმუშაობდი ვიღაცის ჯიხურში. მალე ძველი ჯიხურები აიღეს მერიის ბრძანებით და დავრჩი უმუშევარი. ვეღარც ბინის ქირას ვიხდიდი. მამიდამ და მამიდაშვილმა (უღრმესი მადლობა მათ ამისთვის) სიკეთე მიქნეს და 5 წელზე მეტი ვიცხოვრე სოფ. შინდისში მათ ბინაში. მამიდა გარდაიცვალა და ის ფართი დასჭირდათ. იძულებული ვიყავი, წამოვსულიყავი. წასასვლელი კი არსად მქონდა. დავრჩი ქუჩაში, ღვთის ანაბარა. ამ დროს გამოჩნდა მადლიანი ქალბატონი - სოლოლაკში, ასათიანის ქუჩაზე, შემიკედლა დროებით, სანამ რამეს ვნახავ.

ასათიანზე პრესის ურიკასთან ვდგავარ ქუჩაში, ღია ცის ქვეშ ქარში, ყინვაში, წვიმაში ყოველგვარი ჭერის გარეშე. ასე გამაქვს თავი, 5 წელია. ყველასთან ვარ ოჯახის წევრივით, ვეცოდები და არ მაკლებენ ყურადღებას, მაგრამ აქაც არაფერი ხელფასი არ მაქვს, ქირას ვერ გადავიხდი.

თვითდასაქმებულებისთვის 300 ლარი კომპენსაცია რომ უნდა მოეცათ, სიხარულით არ ვიცოდი, რა მექნა. მაგრამ ჯერ არ მოუციათ. არ მწყინს — ჩემზე გაჭირვებულნიც ხომ არიან. პენსიასაც არ ვიღებ სრულად. როგორ მოვიქცე, არ ვიცი. ამ გაზეთებზე ისე მყავს ხალხი შეჩვეული, განსაკუთრებით „ასავალ-დასავალზე“, „საქართველოს რესპუბლიკაზე“ და „საერთო გაზეთზე“, რომ ჩემზე უკეთესი „აგიტატორი“ არც ერთ არჩევნებზე არა ჰყავს „ოცნებას“. 2011 წლიდან ვარ მაგათი მომხრე, ყველა მათ ღონისძიებას ვესწრები. დიდი პატივისცემით მინდა მივმართო ბატონ გიორგი გახარიას, ბატონ კახა კალაძეს, დიდი სიყვარულით ბატონ ბიძინას. მინდა ვუსურვო მას, რომ ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და გამძლეობა მისცეს, რომ ყველას და ყველაფერს გაუძლოს...

ყველას ძალიან გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩემი გაჭირვება, თორემ იძულებული ვარ, რაღაც ცუდი მოვწიო ჩემს თავს. სხვა გზა არ მაქვს. ისე ვარ დარჩენილი ყველაფრის გარეშე. იქნება რამე მიშველოთ!

დიდი პატივისცემით ვთხოვ მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ვლადიმერ კახაძეს, იქნებ გულთან მიიტანოს ჩემი გასაჭირი და რაიმე საშველი გამოძებნოს ჩემს დასახმარებლად! ამას ვთხოვ ყველას...

უფალი დაგლოცავთ გაჭირვებული ადამიანის დახმარებისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ. ყველას წინასწარ მადლობა!

მანანა გურგენაშვილი
ტ. 555 986 111
ლიბერთი ბანკი:
პირ. მოწმობა 01003003165.

დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს ხელფასები ეზრდებათ

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს (CNF) შორის ხელშეკრულება გაფორმდა.**

ხელშეკრულების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების რეგიონული ადმინისტრაციების 570-ზე მეტი თანამშრომელი (რეინჯერები, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები და ა.შ.) სახელფასო დანამატს, ჯამში 361 273 ლარს მიიღებს.

კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს და დიდი წვლილი შეაქვს როგორც დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ასევე სააგენტოს თანამშრომლების სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში.

დღეისთვის, დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 600 490,04 ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 8.62 %-ს შეადგენს. დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა.

ვინც აბჯრად ეცვა სამშობლოს!

დაუვიწყარი ამბები საქართველოს ციხესიმაგრეების ალყებიდან

საქართველოში **იმაზე ბევრად მეტი ციხესიმაგრე იყო, ვიდრე დღემდე შემოგვრჩა. ბრძოლების ნაწილი სწორედ ამ ციხეების ასაღებად თუ დასაცავად იმართებოდა. ისტორიული წყაროები ციხესიმაგრეების ალყების შესახებ ბევრ საგულისყურო ამბავს ინახავს.**

სამარხვო ომი

1598 **წელს** მეფე სიმონმა გადაწყვიტა, ქართლი თურქი დამპყრობლებისგან გაეთავისუფლებინა. თურქები გორის ციხეში იყვნენ გამაგრებული. სიმონის ჯარმა ციხეს ალყა შემოარტყა, მაგრამ აღებას ერთი წლის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ. გიორგი ბატონიშვილმა ტაქტიკურ ომინს მიმართა. დიდმარხვის პერიოდი იდგა. ბატონიშვილმა გაითამაშა, ვითომ მარხვის გამო ალყის მოშლას აპირებდა. თურქებმა სიფხიზლე მოადუნეს. სინამდვილეში, სიმონის ჯარმა ღამით შტურმი მიიტანა ციხეზე და დილისთვის გორი უკვე თავისუფალი იყო.

ბაგრატის თევზი

ძსნის ციხეს დღემდე შერჩა უხამსი სახელი „ყ... მომჭამე“. ამ მეტსახელის ისტორია 500 წლის წინანდელ ალყას უკავშირდება. ციხეში ბაგრატ მუხრანბატონი ავგიორგისგან თავის დასაცავად გამაგრდა. ალყის დროს განსაკუთრებით დიდი ფასი ჰქონდა მოწინააღმდეგის მორალურად გატეხას, ამიტომ ორივე მხარე ცდილობდა, ფანტაზიისთვის მიემართა და მტრის დასამცირებლად რამე მოეფიქრებინა.

სამთვიანი ალყის შემდეგ ავგიორგიმ ბაგრატს მასხრად ასაგდებად ღვინო გაუგზავნა და წერილიც მიაყოლა: „ძე ხარ მეფისა, ნუ უკუე უღონობითა მიგჭირდეს, და სუი ესე“ (მეფის ძე ხარ, გაჭირვებას შეუჩვეველი, და დალიეო). ბაგრატმა საპასუხოდ ცოცხალი ორაგული გამოუგზავნა.

ეს ორაგული ალყის მოხსნის მიზეზი გახდა, რადგან ავგიორგი მიხვდა, რომ ციხეში ჩაკეტილებს საკვები ჯერაც ბლომად ჰქონდათ.

გამოცხადება

ალამუთის ციხე კასპიის ზღვასთან ზღვის დონიდან თითქმის 4 000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი სახელწოდება არწივის ბუდეს ნიშნავს. მონღოლები მის აღებას 7 წლის განმავლობაში ცდილობდნენ. ამ დროისთვის საქართველო უკვე დაპყრობილი იყო და, შესაბამისად, ვალდებულება ჰქონდა, ალამუთის ალყისთვის მებრძოლები გაეგზავნა. ქართველი ახალგაზრდები ყოველწლიურად მიჰყავდათ ალამუთის ასაღებად და ყველაზე სახიფათო ადგილებში აყენებდნენ.

ალამუთის ციხესთან იმდენი ქართველი გაწყდა, რომ როდესაც ერთ-ერთი მონღოლი სარდალი, ჩაღატა, მოკლული იპოვეს, მაშინვე ქართველებზე მიიტანეს ეჭვი. ქართველები ამოწყვეტას მხოლოდ იმის გამო გადაურჩნენ, რომ მკვლელმა დანაშაული თავადვე აღიარა, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ვიღაც დედაკაცმა უბრძანა ასე მოქცეულიყო. ისტორიკოსები ამ უცნაურ შემთხვევას ღვთისმშობლის გამოცხადებას მიაწერენ.

უძილობა, როგორც ხერხი

ბირთვისის ციხე საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მიუდგომელ სიმაგრედ ითვლებოდა. როდესაც საქართველოში თემურ-ლენგი შემოიჭრა, ბირთვისის ციხეს თავდაპირველად მანაც გვერდი აუარა, მაგრამ შემდეგ მაინც გადაწყვიტა, აეღო.

1403 წელი იყო. ბირთვისს ივანე თორელის მეთაურობით 30 აზნაური და 150 მეციხოვნე იცავდა. მათ მტკნარი წყლის ტბორები ჰქონდათ, რაც საშუალებას აძლევდათ, წყალი ციხის გარეთ არ ეძებნათ. ასევე, მომარაგებული ჰქონდათ საკვები და ღვინოც.

მეორე მხრივ, ბირთვისი მტრისთვის ძალიან მოუხერხებელი იყო - გარშემო არაფერი ხარობდა და არც წყალი იყო სადმე.

მაგრამ თემურ-ლენგს ციხის აღება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. ჭები ამოთხარა, ცხვრის ფარები მოდენა და მერკიტები დაიხმარა. მერკიტები მეკლდეურობით განთქმული მონღოლური ტომი იყო. მათ ორი სიმაგრე და ხის კოშკი ააგეს, საიდანაც ბირთვისში ჩაკეტილებს უთვალთვალებდნენ. მოიტანეს, აგრეთვე, კატაპულტები და ციხეს ქვებსა და ლოდებს უშენდნენ. ქვები ციხეს ვერ ანგრევდა, მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა: განუწყვეტელი გრუხუნისგან მეციხოვნეები ვერ იძინებდნენ.

შვიდი დღის შემდეგ გრუხუნი უცებ შეწყდა და ციხეში მყოფებმაც დაძინება შეძლეს. ამ დროს ერთ-ერთი მერკიტი კლდეზე აძვრა და ხეზე ოთხასაფეხურიანი კიბე ჩამოკიდა.

1403 წლის 12 აგვისტოს 54-მა მერკიტმა ბირთვისის ციხე აიღო. მეციხოვნეებიდან ცოცხალი თითქმის არავინ გადარჩა, მათი ცოლ-შვილი კი თემურ ლენგმა თავის სამხედროებს დაურიგა. ჰარამხანაში მოხვდა ივანე თორელის მეუღლეც, რომელიც შირვანელმა შეიხმა, იბრაჰიმმა, წაიყვანა.

მიუხედავად დამარცხებისა, ბირთვისის აღებაზე იმდენი დრო დაიხარჯა, რომ გიორგი მეშვიდემ მოასწრო ჯარი შეეკრიბა. თემურ-ლენგი საქართველოდან საბოლოოდ ერთი წლის შემდეგ გადაიხვეწა. კიდევ ერთი წლის შემდეგ ის დაიღუპა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა წლობით შეკოწიწებული იმპერია მაშინვე დაშალეს და დაინაწილეს.

სტატია მომზადებულია დონალდ რეიფილდის „საქართველო — იმპერიათა გზაჯვარედინისა“ და ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მიხედვით.

◎ ლეგიონერი

შენგელიას ბენეფისი

ლევან შენგელიას სუპერმატჩი თურქეთის სუპერლიგაში: გადაუჭარბებლად, მართლაც ასე იყო. XXXII ტურში „ქონიასფორი“ „ტრაბზონსფორს“ ესტუმრა და დრამატულ ბრძოლაში 4:3 სძლია.

ეს არ მოხდებოდა, რომ არა ლევან შენგელია, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იყო და თამაშში ტრავმირებული თანაგუნდელის ნაცვლად 39-ე წუთიდან ჩაერთო. „ტრაბზონსფორს“ დაგეგმილ გამარჯვებამდე მატჩი მშვიდად მიჰ ყავდა და 81-ე წუთზე მასპინძლები 3:1-ს იგებდნენ.

თუმცა, მერე შენგელიას 11-წუთიანი ბენეფისი ვიხილეთ! ქართველმა ჯერ იყო და, საჯარიმო დარტყმა ულამაზესად, ფანტასტიკურად შეასრულა, გავიდა 7 წუთი და პენალტი მოიპოვა, რომელიც მისმა თანაგუნდელმა სკუბიჩმა ზუსტად შეასრულა, ხოლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე საგოლე პასიც შეასრულა. ისევ მოხდენილად, ლამაზად და ტურამს ისღა დარჩენოდა, გამარჯვების გოლი გაეტანა.

დიდებულია - 11 წუთში ულამაზესი გოლი, გამომუშავებული პენალტი და გადამწყვეტი საგოლე პასი. შედეგად, „ქონიასფორმა“ 36 ქულას მოუყარა თავი და თურქეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. თავის მხრივ „ტრაბზონსფორმა“ ჩემპიონობა ვერ მოახერხა და თურქეთის 2019-2020 წლების სეზონის ჩემპიონი სტამბოლის „ბაშაქშეჰირი“ გახდა.

აქვე გეტყვით, რომ ლევან შენგელიამ „ქონიასფორის“ რიგებში მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 22 თამაშში 2 ბურთის გატანა მოახერხა.

გიორგი შოთაძე

◎ სუმო

პირველი მარცხი

ივლისის ბაშოს მეორე საშეჯიბრო დღეს მარცხი განიცადა ლევან გორგაძემ. ქართველი სუმოისტი მე-10 მაეგაშირა კაისეის დაუპირისპირდა და შეხვედრა იორიკირის ილეთით დათმო.

ორთაბრძოლა ტოჩიმ აქტიურად დაიწყო და რიგ მომენტებში მეტოქის დამარცხებაც შეეძლო, თუმცა, საბოლოოდ ბრაზილიელმა მავაშში ორივე ხელის ჩავლება მოახერხა და ჩვენებური დოჰიოს მიღმა გადაიყვანა.

ეს აღნიშნული წყვილის მე-20 დაპირისპირება იყო, საიდანაც ტოჩინოშინს 12 შეხვედრა თავის სასარგებლოდ ჰქონდა დასრულებული, გუშინ კი მე-8 მარცხი იგემა.

ლევანს მიმდინარე ბაშოზე 1 მოგების წილ 1 მარცხი აქვს და იმისთვის, რომ რეიტინგში დაწინაურდეს, დარჩენილ შეხვედრებში დადებითი ბალანსის განაღდება და მინიმუმ 7 ორთაბრძოლის მოგება მართებს. მისი მომდევნო მეტოქე დასავლეთის მე-10 მაეგაშირა მიოგირიუ იქნება, რომელთანაც მოგება-წაგების ბალანსი 12:13-ზე აქვს.

კოგა კოგახიძე

◎ რეტრო

თარიღს გახსენება უნდება

კორონავირუსმა, ჭაბუკ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა და წინასაარჩევნო ციებ-ცხელებამ მეორე პლანზე გადასწია ღირსშესანიშნავი თარიღები. გულშემატკივართა ინტერესის გათვალისწინებით, რამდენიმე მათგანს დღეს გავიხსენებთ.





მოსკოვის ოლიმპიადა (1980). საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრას დასავლეთის ბოიკოტი მოჰყვა, რამაც საგრძნობლად გააფერმკრთალა XXII თამაშების სპორტული მხარე, თუმცა, ეს გარემოება ოდნავადაც არ აკნინებს მის ტრიუმფატორთა მიღწევის მნიშვნელობას.

საამაყოა, რომ რუსეთის დედაქალაქში სამმა ქართველმა ააბიჯა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ დანანებით ისიც სათქმელია, რომ სულ მცირე ამდენიმე ჩვენი თანამემამულე ასეთივე ნადავლს იმსახურებდა...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისელ მშვილდოსან **ქეთევან ლოსაბერიძის** მიერ ცეცხლის ხაზზე გამოჩენილი ნებისყოფა და ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რომელსაც მონრეალის ოლიმპიადაზე მცირედი დააკლდა საპრიზო სამეულამდე (IV ადგილი) და მოსკოვში გამართული თამაშები მისთვის მედლის მოპოვების უკანასკნელი შანსი გახლდათ. დავძენთ, რომ მან უმძაფრეს კონკურენციაში აჯობა ფავორიტად მიჩნეულ თანაგუნდელ ნატალია ბუტუზოვას.

ღირსეულად დაიპყრო ოლიმპიური მწვერვალი „კლასიკოსმა“ **ვახტანგ ბლაგიძემაც**. ლანჩხუთელმა ფალავანმა ტიტულის ტოლფასი გამარჯვება შესარჩევ ბრძოლებში მოიხვეჭა, როცა თავისი წონის ლიდერი ჟაკსალიკ უშკემპიროვი დაჯაბნა, მოსკოვურ ხალიჩაზე კი ისეთი ცეცხლი დაანთო, მისი ჩამქრობი არავინ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ქარელელ ძიუდოისტ **შოთა ხაბარელს,** მას თამამად შეუძლია თქვას: „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“. მართალია, მას მხოლოდ სამჯერ მოუწია ტატამზე გამოსვლა, მაგრამ ეს მისი პრობლემა არ ყოფილა — საუკეთესოთა შორის საუკეთესო ღირსეულად დაეუფლა „ოქროს“.

ვისაც მოსკოვური ბატალიები ახსოვს, დამეთანხმება, რომ მეოთხე წოდების სადარი გახლდათ ლეგენდარული სამხტომელის **ვიქტორ სანეევის** „ვერცხლი“, რომელსაც ქარიან ამინდში მსაჯებმა რამდენიმე ძვირფასი სანტიმეტრი „მოპარეს“.

ქართველ ქალაგს დღემდე ვერ მოუნელებია საუკეთესო ნიკოლოზ დერიუგინი (კალათბურთი, „ბრინჯაო“), **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე** (ფეხბურთი, „ბრინჯაო“).

ხელოვანი ძიუდოისტის, ორგზის მსოფლიო ჩემპიონ **თემურ ხუბულურის** მხოლოდ ფინალისტობა, რომელმაც კარიერის მთავარი ბრძოლა ბელგიელ პრინციპულ მეტოქე რობერ ვან დე ვალესთან დათმო.

ოლიმპიადამდე სავსებით საფუძვლიანად გამოიყურებოდა ჩვენი სათამაშო სახეობათა წარმომადგენლების საჩემპიონო ამბიციები, მაგრამ მიზეზთა გამო ისინი ოდენ საპრიზო ადგილებს დასჯერდნენ: **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი, „ვერცხლი“), **ნიკოლოზ დერიუგინი** (კალათბურთი, „ბრინჯაო“), **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რევაზ ჩელებაძე** (ფეხბურთი, „ბრინჯაო“).

დავძენთ, რომ **საიდა გუმბა** შუბის ტყორცნაში ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო **ლიანა ცოტაძე** წყალში ხტომაში — ბრინჯაოს პრიზიორი.

მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი (1970). ბედი ჰქონია აცტეკების ქვეყანას — იქ ნახევარი საუკუნის წინათ პელემ და კამპანიამ გაიბრწყინა, ხოლო 1986 წელს — მარადონამ.

ფეხბურთის სამყაროში დღემდე ვერ შეთანხმებულან, რომელია სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაში ყველა დროის საუკეთესო გუნდი — ბრაზილია — 70 თუ მადრიდის „რეალი“ — 60-იანები.

სხვათა შორის, ისიც მსმენია, მაშინდელ ბრაზილიასა და მის ვარსკვლავებს (პელე, ტოსტაო, გერსონი, ჟაირზინიო, რიველინო, კლოდოალდო, ვალდომირო, კარლოს ალბერტო) მწვრთნელი არც სჭირდებოდაო.

მექსიკურ მუნდიალს უკავშირდება გერმანია — იტალიის დაუვიწყარი ნახევარფინალიც, რომელიც „სკუადრა აძურამ“ 4:3 მოიგო.

და კიდევ: ასევე 1970 წელს ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად ვაჟა-ფშაველას პროსპექტის III კვარტლის მე-17 კორპუსში გადავიდა, სადაც სპორტის მოყვარულთა მთელი არმია დაგვხვდა: **ომარ ფირცხალაიშვილი, გოგი გურიელი, გუგული შოთაძე, მამუკა ბარკალაია, გიორგი გორგოძე, შოთა ღლონტი, ოთარ ოდიშელიძე, დათო შერგელაშვილი, უჩა სიხარულიძე, ვახტანგ და ბუჭუ დონაძეები, პროკოფი და ზურაბ თურნავები, თემო ნემსიწვერიძე, გოგი დევდარიანი, ზალიკო ჩხეიძე, კოტე ჩაჩავა, ოთარ ღუტიძე, ბაჩო, ზურაბ და თემო მაისაშვილები, ჯუმბერ აბესაძე, ნიკოლოზ ტარიელაშვილი, გიორგი იაგორაშვილი, ცოლაკ ღარიბიანი, არტუშ მურადიანი...**

ნათელი და სანთელი მათ ხსოვნას!

გია პლატონიშვილი

სასიამო სიახლე

პოეზიის ანთოლოგია, რომელიც „მერანმა“ 2020 წელს გამოუშვა, იმით გამოირჩევა, რომ აქ წარმოდგენილია ავტორთა თითო საუკეთესო ლექსი. ამიტომ კოხტად აკინძულ-გაფორმებული ორტომეული ბევრ შემოქმედს იტევს. პროექტის ავტორია მაყვალა გონაშვილი; რედაქტორ-შემდგენლის შრომატევადი საქმე ზაალ ბოტკოველს უტვირთავს; მასვე დაუწერია სხარტი წინასიტყვა. მხატვარია გიორგი წერეთელი.

საგულისხმოა, რომ I წიგნი მოიცავს გარდაცვლილ ოსტატთა ნააზრევს — ეს არის ხალხური პოეზია, V-XVIII საუკუნეთა შედევრები, XIX საუკუნის ქმნილებანი, XX ასწლეულის მოაზროვნეთა დაუვიწყარი ხელეურები; II წიგნი დღეს მოქმედ ოსტატებს ეკუთვნით.

საინტერესო პროექტი განხორციელდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით. დიდი მადლობა მას!

დასანანია, რომ პირველ კრებულში არ ჩანს ორი გენიალური ქმნილება: ივანე წიკლაურის „რამ დამაბერა“ და ზაზა თვარაძის „შემხვდა მეგობარი“, ასევე გამორჩენილია დარეჯან ბატიაშვილის „მამის ვენახი“, ხოლო მეორე ტომში არ იხილვის სევარიონ ნადირაძე.

ვულოცავთ ქ-ნ მაყვალა გონაშვილსა და ბატონ ზაალ ბოტკოველს ამ შესანიშნავი საქმის აღსრულებას.

გურამ წიკლაური

◎ ნარუქი

ბიოგრაფიული რომანი ფირდოუსიზე

მეათე საუკუნის დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ („მეფეთა წიგნი“) გმირებს ქართველები ჯერ კიდევ მანამ იცნობდნენ, სანამ ფირდოუსი შექმნიდა თავის უკვდავ პოემას; იცნობდნენ მას ფალაური პირველწყაროდან „ხვატაინამაქ“ („მეფეთა წიგნი“).

ფირდოუსის ქმნილებას კი თარგმანისა და მიბაძვა-გადაკეთების გზით ჯერ — XII და შემდეგ XVI-XVIII საუკუნეებში გაეცნენ ჩვენი წინაპრები და ისე შეისისხლხორცეს იგი, რომ მისი გმირების სახელები, მაგალითად: როსტომი, ზურაბი, თეიმურაზი, თამაზი, გივი, გოდერძი, მანუჩარი, ლუარსაბი, უშანგი... ქართულ ეროვნულ სახელებად იქცა.

მეოცე საუკუნიდან „შაჰ-ნამეს“ გარკვეული თავების თარგმანები ეკუთვნის მაგალი თოდუასა და ალექსანდრე ელერდაშვილს, ხოლო მთლიანი — ბელა შალვაშვილს (ერთადერთი შემთხვევაა, რომ ეს 120 ათას ტაეპიანი უზარმაზარი პოემა ერთ კაცს ეთარგმნოს მთლიანად, რაც გმირობის ტოლფასია).

ფირდოუსის შესახებ ბევრი რამ არ შემოუნახავს ისტორიას, მაგრამ, რაც შემოუნახავს, დაინტერესებული პირისთვის ყველა ხელმისაწვდომია.

ასეთი დაინტერესებული პირი აღმოჩნდა ცნობილი ქართველოლოგი, რუსთველის მკვლევარი, პროფესორი მურმან თავდიშვილი.

რუსთველი შემთხვევით არ წამომცდენია, სწორედ რუსთველმა მიიყვანა იგი სპარსული პოეზიის სამყარომდე და შეაქმნევინა ორი მეტად საინტერესო სამეცნიერო ხასიათის წიგნი: „ფირდოუსი და რუსთველი“ (2009) და „ნიზამი და რუსთველი“ (2011), რომლებიც რუსთველოლოგიის შენაძენად შეიძლება ჩაითვალოს.

საბოლოოდ კი **მურმან თავდიშვილი** ფირდოუსის შესახებ მხოლოდ მეცნიერულ კვლევას არ დასჯერებია და ბიოგრაფიულ მონაცემებსა და თავის წარმოსახვაზე დაყრდნობით, ნამდვილი და გამოგონილი გმირებით, მხატვრულად გაუცოცხლებია ამ დიდი პოეტის სახე და ის გარემო, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იგი.

ქართული წიგნის თაროს შეემატა კიდევ ერთი საინტერესო ბიოგრაფიული რომანი.

მაშ, ასე, ფირდოუსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობასთან ერთად გეძლევათ საშუალება, იმოგზაუროთ ფირდოუსის დროინდელ ირანში, გაეცნოთ სამეფო კარისა თუ უბრალო ხალხის ცხოვრებას, დაესწროთ მეხოტბეთა მუშაირებსა თუ სხვა ღონისძიებებს, გაიგოთ მრავალი საინტერესო რამ ირანისა თუ, საერთოდ, აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ.

კარგი იქნება, წიგნი თუ ითარგმნება სპარსულად, რადგან დარწმუნებული ვარ: ირანელი მკითხველი დიდი სიამოვნებით მიიღებს მას, მით უმეტეს, რომ ეს მოულოდნელი და უპრეცედენტო საჩუქარი იქნება მისთვის უცხოელისგან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სპარსულად არსებობს მორთაზა საფარის ბიოგრაფიული ნაშრომი ფირდოუსიზე — „რომანი „შაჰ-ამესი“ (2012 წ.), რომელიც, განსხვავებით **მურმან თავდიშვილის** ევროპული ყაიდის ბიოგრაფიული რომანისგან, ძირითადად, პოემის ამბებზეა აგებული.

ნომადი ბართაია,
პროფესორი

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება სამძიმარს უცხადებენ აკადემიკოს ნოდარ ბერიკაშვილს ქალიშვილის

თეა ბერიკაშვილის

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პიროვნება, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების აქტიური მონაწილე, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხთა დროებითი კომისიის სპეციალისტი, ღირსების ორდენის კავალერი

თეიმურაზ ჭახრაკია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზაზა ჯოხაძე, ნინო გაბრიჩიძე, მარიამ და ელენე ჯოხაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უდიდესი ინტელექტისა და კულტურის მქონე, ბორჯომის რაიონის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი, დამსახურებული იურისტი და ღვაწლმოსილი ნოტარიუსი, შესანიშნავი და საყვარელი დედა და ბებია

თამარ (თალიკო) ჩორგოლაშვილი

თბილისში ქალი მე-15 სართულიდან გადავარდა

თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მე-15 სართულიდან შუახნის ქალი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „იმედინიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევა დღეს დილით მოხდა.

ზურაბ ზვიადაური გადარჩა!..

ოლიმპიური ჩემპიონის და ვეტერანი ძიუდოისტის, ზურაბ ზვიადაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზურაბ ზვიადაური და მისი მეგობარი ახმეტის რაიონული საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. ორივე მათგანს ცივი იარაღით ჭრილობები გულმკერდის არეში გუშინ, გვიან ღამით მიაყენეს.

დაპირისპირების მიზეზად ყოფილ დეპუტატსა და გიორგი ქისტაურს შორის წარსულში მომხდარი კონფლიქტი სახელდება, რა დროსაც საპარლამენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში ქისტაურმა სპორტსმენის საცხოვრებელ სახლს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა. მაშინ შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა ახალგაზრდა კაცი პოლიციამ მალევე დაიკავა და პასუხისგებაში მისცა.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ალკოჰოლური სასმელების 13 კომპანიას სერტიფიკატის მიღებაზე უარი ეთქვა

2020 წლის 6 თვეში საექსპორტო პროდუქციის ინსპექტირება განხორციელდა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ 175 კომპანიაში. სულ აღებული იყო 427 ნიმუში, სერტიფიკატის მიღებაზე უარი ეთქვა 13 კომპანიას, - ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიაში ჩატარდა 118 დეგუსტაცია. სულ წარმოდგენილი იყო 4 131 ნიმუში, მათგან უარყოფითად მხოლოდ 202 შეფასდა.

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ხარისხის მუდმივი კონტროლია. შესაძლო ფალსიფიცირების გამოსავლენად, 2020 წლის დასაწყისში, ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოების ტექნიკურ რეგლამენტებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ცვლილებების თანახმად, ღვინო და ალკოჰოლიანი სასმელები ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმდება, რაც განსაზღვრავს, პროდუქცია არის თუ არა ყურძნისეული წარმოშობის.

სპორტულ-გასართობი ღონისძიება „ექსტრემ(რ)ალი“ კოჯორში

დაბა კოჯორში, ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-გასართობი ღონისძიება „ექსტრემ(რ)ალი“ გაიმართა, რომელიც ა(ა)იპ „შენთვის, ანუ ყველასთვის“ ინიციატივითა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

აღნიშნული აქტივობა მიზნად ექსტრემალური სპორტის, ტურიზმის განვითარების მიმართულებით ოფროუდის პოპულარიზაციასა და ახალგაზრდებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების მიმართ მოტივაციის ამაღლებას ისახავდა.

ღონისძიების ფარგლებში, დაბა კოჯორში, სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, კვადროციკლებით შეჯიბრი გაიმართა, რომლის ფარგლებშიც 15 მონაწილე ერთმანეთს სწრაფ რბოლაში ეჯიბრებოდა. რალს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კრივში სპარტაკ ლაზარაშვილი და ცნობილი სპორტული კომენტატორი დავით ფრანგიშვილი ხელმძღვანლობდნენ. საღამოს წამყვანი, გიორგი მეგრელიშვილი კი მოწვეულ და ადგილობრივ სტუმრებთან ერთად შეჯიბრს ცენტრალურ პარკში პირდაპირი ტრანსლაციით, ლედ ეკრანის საშუალებით გულშემატკივრობდა.

ექსტრემალურ შეჯიბრში, გამარჯვებული გამოვლინდა, რომელსაც საჩუქრად სიგელები და ფულადი ჯილდო გადაეცა. პირველ ადგილზე ლუკა ქოროღლიშვილი და მოხალისე დიტო შონია გავიდნენ. ღონისძიების დასასრულ, დამსწრე საზოგადოებას DJ სანიმ და მოტოსპორტის მოყვარულებმა შთამბეჭდავი შოუ წარუდგინეს.

100-კაციანი შეკრებები ნებადართულია

დღეიდან ნებადართულია ღია სივრცეში ნებისმიერი სოციალური, მათ შორის სადღესასწაულო, რიტუალური ღონისძიებები, რომლებზე დამსწრეთა მაქსიმალური რაოდენობა 100 ადამიანით განისაზღვრა.

ამის შესახებ გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედმა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ მიიღო.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საბჭომ გასულ კვირას უკვე დაუშვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება ღია სივრცეში, ასევე ნებადართული გახდა დახურულ სივრცეში რეპეტიციების ჩატარება, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პროტოკოლის დაცვით.

კაპიტანი ტომი რაინდად აკურთხეს

კაპიტანი ტომ მური ასი წლის ბრიტანელი ვეტერანია, რომელმაც COVID-ის დროს ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ადამიანებისთვის მილიონობით გირვანქა სტერლინგი შეაგროვა.

ის 17 ივლისს „სერ ტომი“ გახდა, რაც დედოფალმა ელისაბედ მეორემ რაინდად აკურთხა. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ბრიტანეთის ეროვნული გმირი მას შემდეგ გახდა, რაც რეკორდული 33 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეაგროვა, როცა 100-ჯერ შემოუარა თავის ბაღს სასიარულო მოწყობილობის დახმარებით აპრილში, საკუთარი ღირსშესანიშნავი დაბადების დღის მოახლოების წინ. ამ ჯილდოზე მურის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა დაასახელა. მური რაინდად უინძორის სასახლეში აკურთხეს, სადაც 94 წლის დედოფალი მარტის შემდეგ იმყოფება.

სკაფანდრები პანდემიის წინააღმდეგ

ბრაზილიელი წყვილი, სანაპიროზე ასტრონავტების კოსტიუმით გადაადგილდება.

ასე 60 წლამდე ასაკის ტერსიო გალდინო და ალისია ლიმა-კორონავირუსისგან იცავენ თავს.

„ჩვენ დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ ასაკის გამო რისკ-ჯგუფში ვართ. თავდაპირველად ვაპირებდით, რომ სახლში ყოფნით შემოვფარგლულიყავით, მაგრამ შემდეგ გამოსავალი ვიპოვეთ. ტერსიომ ასტრონავტის კოსტიუმები იყიდა, ხოლო ჩაფხუტები თვითონ დაამზადა“, — ამბობს ტერსიო.

ბრაზილია კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს.

კბილებიანი თევზი

მალაიზიაში დაიჭირეს თევზი, რომელსაც კბილები ისევე აქვს განვითარებული, როგორც ადამიანებს.

სოციალურ ქსელში ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ, ის მალევე იქცა ინტერნეტვარსკვლავად.

ირკვევა, რომ კბილებიანი თევზები სულაც არაა ანომალია. ეს თევზები ტროპიკულ და სუბტროპიკულ წყლებში ნამდვილად ბინადრობენ და ათობით სახეობას აერთიანებენ.

საუკუნესგადაცილებული მოტოციკლეტი აუქციონზე

აშშ-ში Mecum-ის აუქციონის ისტორიაში პირველად 109 წლის წინ გამოშვებული მოტოციკლი Pierce Arrow 4225 000 გაიყიდა.

აუქციონზე ანტიკვარული მანქანები და მოტოციკლები იყიდება. ნივთის მაღალი ფასი გამოიწვია იმან, რომ იგი იდეალურადაა შენახული და ამ დროის მანძილზე რესტავრატორის ხელი არ შეხებია.



Pierce Arrow აშშ-ში მაღალი სტანდარტით შექმნილი პირველი ოთხცილინდრიანი მოტოციკლია. 1909-1914 წლებში აშშ-ში ამ მოდელის 500 მოტოციკლი დაამზადეს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0651; ევრო - 3.5010;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8461;
100 რუბლი - 4.2744; თურქული ლირა - 0.4468;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8030;
1000 სომხური დრამი - 6.3326.

ამინდი 21 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+17,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+16,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+25,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge